ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## უსუფაშვილის უარი ვაშაძეს




გვ.5

ერთიან კანდიდატზე ვერც პრორუსული პარტიები თანხმდებიან

1 აგვისტოდან

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ორშაბათის სიზმარი

ქართული დეტექტივი მე-15 ტომი



ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

სამშაბათი, 8 აგვისტო, 2017 | №186 (7421) | ფასი: 50 თეთრი

# თორნიკე შარაშენიძე: „სანამ პუტინი პრეზიდენტია, რუსეთი დათმობაზე არ წავა“



გვ.2

## „კოდორის ჩაბარებაზე სააკაშვილმა და რუსებმა 2006 წელს მოილაპარაკეს“



გვ.4

ნორა კვიციანი: „აგვიხსნან ნაციონალებმა, რატომ გადასცეს მოწინააღმდეგეს ათეულობით მილიონი დოლარის ღირებულების იარაღი“

## „რუსეთი საქართველოს რეგიონების ოკუპაციას აგრძელებს“



გვ.2



გვ.3

## „აგვისტოს ომი ხაფანგი იყო“

თენგიზ დიხამინჯია: „2 კვირა რომ გაგვეძლო, დასავლეთი დაგვეხმარებოდა“

## ვის უნდოდა რუსული ჯარის თბილისში შემოსვლა



გვ.5

## აფგან მუხთარლის საქმეს ევროსასამართლო 7 აზერბაიჯანელი ჟურნალისტის საქმეებთან ერთად განიხილავს

რა დასკვნას დადებს საქართველოს პროკურატურა?

ISSN 1987-9385

ივლისში „ქართულმა ოცნებამ“ შემოწირულების სახით 1.270.000 ლარი, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კი – 102 ლარი მიიღო




გვ.3



გვ.6

რა ეტაპზეა საქართველოში ტურიზმის განვითარება და რა გამოწვევები გვაქვს?

ლია გიგაური – 2018 წლის სექტემბრიდან, I-VI კლასის მოსწავლეებს უფრო მაღალი ხარისხის სახელმძღვანელოებს შევთავაზებთ



გვ.5

# თორნიკე შარაშენიძე: „სანამ პუტინი პრეზიდენტია, რუსეთი დათმობაზე არ წავა“

ნათია ხურცილავა

საერთაშორისო საკითხების ექსპერტი, ჯიპას პროფესორი **თორნიკე შარაშენიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგებზე და ხელისუფლების სტრატეგიაზე საუბრობს.

***– ბატონო თორნიკე, თქვენ ერთ-ერთ გამოცემასთან საუბარში აცხადებთ, რომ დღევანდელმა მთავრობამ რუსეთთან ილუზიის ეპოქა დაასრულა. ეს ნიშნავს, რომ მთავრობის მხრიდან ახალ სტრატეგიას უნდა ველოდოთ რუსეთთან ურთიერთობაში?***

– ასეთი მარტივი არ არის ახალი სტრატეგიის შემუშავება. ხელისუფლების რიტორიკას – კარგად არის ყველაფერი, რუსული აგრესია ისეთი აქტიური არ არის, როგორც ეს იყო წინა ხელისუფლების დროს, – ხელი თავად რუსეთმა შეუშალა საოკუპაციო ხაზის გადმოწევით. საოკუპაციო ხაზი რომ არ გადმოეწიათ და მავთულხლართების აგება არ დაეწყოთ, იტყოდნენ, ურთიერთობები დავალაგეთ, ვაჭრობა აღდგა, ტურისტები ჩამოდიან. ვაჭრობაც, ტურისტების შემოსვლაც ნამდვილად არ არის ცუდი, მაგრამ ცუდია ილუზია, თითქოს ურთიერთობები დავალაგეთ.



***– რუსეთმა ამ ხელისუფლების რიტორიკას, მორიგი უგუნური ნაბიჯით უპასუხა?***

– კი, რა თქმა უნდა. რუსეთს გაცილებით მეტი შეუძლია ამ პროცესში, ვიდრე საქართველოს. მათ შორის შეუძლია ორმხრივი ურთიერთობის გამოსწორებაც, ეს რუსეთს უფრო შეუძლია ვიდრე ჩვენ. ამდენად, ბუნებრივია, რომ მეტის გაფუჭებაც შეუძლია.

***– სააკაშვილის ხელისუფლებას ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით ცუდი თუ კარგი, გარკვეული ტაქტიკა ჰქონდა. დღევანდელი ხელისუფლება ამ პრობლემის მოგვარების გზებს ეძებს თუ ფიქრობს, რომ ეს მის ძალებს აღემატება?***

– არ ვიცი, სერიოზულად ფიქრობენ თუ არა, რომ ტერიტორიებს დაიბრუნებენ, მე მაინც არ მგონია, რომ ამას ფიქრობდნენ. უნდა ხვდებოდნენ, რომ ამ პრობლემის გადაჭრა მათ არ შეუძლიათ. რაც შეეხება წინა ხელისუფლებას, ისინი ტერიტორიების დაბრუნებას 2008 წლამდე სერიოზულად ფიქრობდნენ. 2008 წლის შემდეგ კი მიხვდნენ, რომ ეს შეუძლებელი იყო, ამას ისინი ვერ შეძლებდნენ. წინა ხელისუფლებამ რა გააფუჭა, ამაზე არ ვილაპარაკებ, რადგან ამაზე ეს მთავრობაც საკმაოდ საუბრობს.

დღევანდელი ხელისუფლება რასაც ხვდებოდა, იყო ის, რომ ასეთი მარტივი არ იქნება ტერიტორიების დაბრუნება. მით უმეტეს, სანამ პუტინია ხელისუფლებაში, თუმცა, იმის იმედი ნამდვილად ჰქონდათ, რომ რუსეთთან ურთიერთობას გარკვეულ დონეზე მაინც დაალაგებდნენ, მოხსნიდნენ რუსულ დაძაბულობას, ურთიერთობის ნორმალიზებას მოახდენდნენ და ოკუპირებულ ტერიტორიებთან რაღაც დონის კონტაქტის საშუალება მაინც მოგვეცემოდა. თუმცა, როგორი კონტაქტის შესაძლებლობა გვაქვს, ყველამ კარგად ვიცით. რუსები, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ კონტაქტის მინიმალური შესაძლებლობაც კი არ გვქონდეს. აფხაზეთთან დასაკავშირებლად, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, მხოლოდ ერთი გზა დატოვეს. სამხრეთ ოსეთს კი აბსოლუტურ იზოლაციაში აქცევენ და, რაც მთავარია, ყველაზე უფრო მტკივნეული – საოკუპაციო ხაზის გადმოწევა, რომლის დასაპირისპირებელი პოლიტიკა ჯერჯერობით ხელისუფლებას შემუშავებული არ აქვს.

***– „მცოცავ ოკუპაციას“ ტერმინს ხელისუფლება არ აღიარებს, რატომ?***

– რომელი ხელისუფლება აღიარებს თავის შეცდომას?! აქ გასაკვირი არაფერი არ არის. სამწუხაროდ ფაქტია, რომ საოკუპაციო ხაზი უფრო ღრმად შემოდის. არ შეიძლება ამდენი ტყუილი მოიგონოს რამდენიმე მედიასაშუალებამ, ფაქტია, რომ მართლაც იწევს.

***– პენსის ვიზიტი ადეკვატურად გამოიყენა ხელისუფლებამ სწორედ მცოცავ ოკუპაციასთან დაკავშირებით?***

– ვერ გეტყვით, რამდენად ადეკვატურად გამოიყენა ეს ვიზიტი ხელისუფლებამ ამ პრობლემისთვის, მაგრამ თავისთავად პენსის ვიზიტი ძალიან კარგი იყო და ეს არანაირად არ უნდა დავუკარგოთ ამ ხელისუფლებას. პირიქით, უნდა ჩაეთვალოს. თუმცა, ფაქტია, რომ მცოცავი ოკუპაციის პრობლემა არ ჩანს მედიაში, მხოლოდ ერთადერთ საერთაშორისო ინტერნეტ გამოცემის ნიუსში მოხვდა, რაც თავისთავად პრობლემაზე მიანიშნებს.

ჩვენი ერთ-ერთი იარაღი რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო აზრის შექმნაა, ეს აზრი კიდევ უფრო მეტად უნდა შემოვატრიალოთ ჩვენ მხარეს, რომ ყველას ვუთხრათ, რაც ხდება. საოკუპაციო ხაზთან არ დგას უცხოური მედიის ტელე-კამერები. საოკუპაციო ხაზთან ბოლოს აქტივისტებმა დაიწყეს მორიგეობა, ზოგი უპარტიო მოხალისე იყო, ზოგიც პოლიტიკური პარტიის წევრი, მაგრამ მე იმედი მაქვს, ამას ხელისუფლება ხელს არ შეუშლის და ამ ხალხის ლანძღვა არ გაგრძელდება, როგორც ვიღაცვიღაცეების მხრიდან იყო.

***– ისინი ამბობენ, რომ შესაძლებელია ეს იყოს გარკვეული ინსპირაცია.***

– რისი?! რაც მოხალისეებმა მორიგეობა დაიწყეს, ფაქტია, რომ არავინ არ გაუტაციათ. თუ რამე საფრთხეს ხედავენ, მაშინ სუსის გადაცმული თანამშრომლები, პოლიციელები ჩაიყვანონ, იმორიგეონ, რომ რამე არ მოხდეს. ხომ უნდა გააკონტროლონ სიტუაცია ადგილზე?!

***– სანამ პუტინს ხელთ უპყრია რუსეთის მართვის სადავეები, რეალურად ტერიტორიების დაბრუნებაზე საუბარი შეუძლებელია? თუ როგორც ბურჯანაძე ამბობს, ან ადა მარშანია და „პატრიოტთა ალიანსი“, პირდაპირი დიალოგი უნდა დაიწყოს?***

– ადა მარშანია იყო ახლახან მოსკოვში ჩასული და რა ჩამოიტანა?! ბურჯანაძის მხრიდან ეს არის პოლიტიკური სპეკულაცია, სხვას ვერაფერს დავარქმევ. ადა მარშანიას მხრიდან, არ ვიცი, ეს რა არის, ალბათ უფრო გულუბრყვილობას უნდა მივაწეროთ. სამწუხაროდ, ასე მგონია, ადა მარშანია ასე უყურებს ამ ყველაფერს: ჩავა მოსკოვში, რუსებს ელარჯს ჩაუტანს და ისინი ტერიტორიებს დაუბრუნებენ. სააკაშვილს თავისი პირველი ვიზიტი სწორედ მოსკოვში ჰქონდა. აქებდა და ადიდებდა რუსეთის ხელისუფლებას. რამდენიმე ჩეჩენი გადასცა, როგორც ვიცი, ყველანაირი საერთაშორისო ნორმის დარღვევით. ეს ყველაფერი თავიდან მართლაც რუსეთთან დაახლოებისთვის გააკეთა, მაგრამ არაფერი არ გამოუვიდა. ეს ხელისუფლებაც 4-5 წელია წვალობს, რომ გამოუვიდეს, მაგრამ არ გამოსდის.

რა რეცეპტი აქვს ან ბურჯანაძეს, ან ადა მარშანიას, გააგებინოს მთელ მსოფლიოს, რომ დაალაგონ ურთიერთობა რუსეთთან, რომელთანაც ყველას აქვს ურთიერთობა გაფუჭებული. ბურჯანაძემ – მარშანიამ რა იციან ასეთი, ჩავიდნენ გერმანელებთან, ამერიკელებთან და ასწავლონ, გააგებინონ და იქნებ ეშველოს მთელ მსოფლიოს.

რაც შეეხება კონკრეტულად პუტინს, არ მგონია, რამეზე წავიდეს, ამ კაცს ნებისმიერი დათმობა დამარცხებისა და სისუსტის გამოვლინებად მიაჩნია. მაგრამ არაფერი და არავინ არის მუდმივი, მით უფრო, პოლიტიკაში, ვისაც მუდმივი ჰგონია თავი, ყველაზე ცუდად ის ამთავრებს ხოლმე პოლიტიკურ კარიერასაც და ცხოვრებასაც.



# „რუსეთი საქართველოს რეგიონების ოკუპაციას აგრძელებს“

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 2008 წლის აგვისტოს ომის მე-9 წლისთავთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, 2017 წლის 7 აგვისტოს ცხრა წელი შესრულდა საქართველოში რუსეთის ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენციის შედეგად აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების უკანონო ოკუპაციიდან.

– ცხრა წლის თავზე რუსეთის ფედერაცია კვლავ არ ასრულებს 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პირობებს და საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების სრული უგულებელყოფით აგრძელებს სუვერენული სახელმწიფოს განუყოფელი რეგიონების ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის პოლიტიკას, რაც გამოიხატება საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში უკანონო ინტეგრაციით, ოკუპირებული რეგიონების მილიტარიზაციითა და საოკუპაციო ხაზის გამაგრებით მავთულხლართებითა და სხვადასხვა ხელოვნური ბარიერებით. რეგულარულად ხდება საოკუპაციო ხაზზე ადამიანთა უკანონო დაკავებები და გატაცებები, მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის საკუთარ კარ-მიდამოზე წვდომისა და თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა. ეს მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა აფხაზეთის მიმართულებით ოთხი ე.წ. გადასასვლელი პუნქტის დახურვამ.



ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ქართველების მიმართ გრძელდება ეთნიკური დისკრიმინაცია და მათი ფუნდამენტური უფლებების შელახვა. მაშინ, როცა ასობით ათასი ადამიანი გამოდევნილია საკუთარი სახლიდან, რუსეთის საოკუპაციო რეჟიმი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში დარჩენილ ძირძველ ქართველ მოსახლეობას თავის მიწა-წყალზე როგორც უცხოელებს, ისე ექცევა. გალის რაიონის სკოლებში ქართული ენის შეზღუდვის კვალდაკვალ, მომავალი სასწავლო წლიდან ცხინვალის რეგიონის ქართულ სკოლებშიც იკრძალება მშობლიურ ენაზე სწავლება. ამ ფონზე, რუსეთის საოკუპაციო რეჟიმი ცდილობს მეტ იზოლაციაში მოაქციოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრები ადამიანები და მიზანმიმართულად უშლის ხელს მათ ჰუმანიტარულ კონტაქტებს დანარჩენ საქართველოსა და მსოფლიოსთან.

რუსეთის პროვოკაციული ქმედებების მიუხედავად, საქართველოს მთავრობა ურყევად აგრძელებს თავის სამშვიდობო პოლიტიკას და დიპლომატიის, მოლაპარაკებებისა და დიალოგის გზით ესწრაფვის კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებას. რუსეთისაგან განსხვავებით, საქართველო პირნათლად ასრულებს 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას და კონსტრუქციული ჩართულობით ცდილობს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში ხელშესახები შედეგის მიღწევას. მეტიც, იმ ფონზე, როცა რუსეთის ფედერაცია საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში სისტემატიურად ეწევა ძალის გამოყენებას, საქართველომ არაერთხელ, მათ შორის, აღმასრულებელ და საკანონმდებლო დონეზე დაადასტურა ვალდებულება ძალის არგამოყენების შესახებ. საოკუპაციო ხაზზე აღმართულ მავთულხლართებსა და ხელოვნურ ბარიერებს კი საქართველოს მთავრობა უპირისპირებს ომით გაყოფილ მოსახლეობას შორის ნდობისა და ურთიერთობების აღდგენის ინტენსიურ პოლიტიკას.

სწორედ მსგავსი რაციონალური და მშვიდობიანი პოლიტიკის შედეგად, ზემოხსენებული ურთულესი გამოწვევების პირობებში საქართველოს ხელისუფლებამ მოახერხა ქვეყნის შეუქცევადი დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარება, სტაბილურობისა და მშვიდობის უზრუნველყოფა მის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე და წინსვლა საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით.

ქართული მხარე დიდად აფასებს პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მტკიცე მხარდაჭერას ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ და მათ შესაბამის გადაწყვეტილებებს, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კონფლიქტის საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად დარეგულირებას. საქართველოში მიმდინარე ოკუპაციის ცხრა წლის თავზე ქართული მხარე კვლავ მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას, კონსოლიდირებული ძალისხმევა მიმართოს 2008 წლის აგვისტოს ომის მძიმე შედეგების აღმოფხვრისა და რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების მიზნით.

საგარეო საქმეთა სამინისტრო სამძიმარს უცხადებს 2008 წლის ომში გმირულად დაღუპული მებრძოლებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის ოჯახებსა და ახლობლებს,– ნათქვამია უწყების განცხადებაში.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „აგვისტოს ომი ხაფანგი იყო“

## თენგიზ დიხამინჯია: „2 კვირა რომ გაგვეძლო, დასავლეთი დაგვეხმარებოდა“

გულიკო ბალაძე

ყოფილი დეპუტატი **თენგიზ დიხამინჯია** „ახალ თაობას“ 2008 წლის ომზე და მის გარემოებებზე ესაუბრება.

***– ბატონო თენგიზ, როცა 2008 წლის ომი დაიწყო, თბილისში იყავით?***

– ორი დღით ადრე ვიყავი ონში, სადაც ბომბები ჩამოყარეს. რაჭა რუსეთის თვითმფრინავებმა სერიოზულად დაბომბეს, მსხვერპლიც იყო, ერთი ბავშვი დაიღუპა.

***– ომი 7 აგვისტომდეც დაწყებული იყო?***

– დიახ.

***– ხშირად სააკაშვილს ვამტყუნებთ ამ ომის დაწყებაში. ტალიავინის კომისიის დასკვნაშიც წერია, რომ ომი დაიწყო ცხინვალის დაბომბვით. ფაქტობრივად, ომი მანამდეც იყო დაწყებული, მაგრამ საუბარია რუსეთის პროვოკაციასა და ფართომასშტაბიან ომში ჩართვაზე. სააკაშვილს ცხინვალზე შეტევის ნაცვლად პოზიციური ომი რომ ეწარმოებინა, ის პოზიციები რომ დაეცვა, რაც საქართველოს ეჭირა და თუ შესაძლებელი იქნებოდა, თანდათან წაეწია წინ, უკეთეს შედეგს არ მივიღებდით?***

– ქრონოლოგიურად გავიხსენებ – სანამ ეს პროცესი დაიწყებოდა, რამდენიმე თვით ადრე, სააკაშვილმა თქვა, რომ ის ტერიტორიულ მთლიანობას აღადგენდა. დროც კი დათქვა. საომარი ესკალაციის ეპიცენტრი იყო აფხაზეთი.

***– კოდორს გულისხმობთ?***

– კოდორს და აფხაზეთის მისადგომებთან, აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართანაც იყო ძალების კონცენტრაცია. მახსოვს, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი შტაინმაიერი ჩაფრინდა საგანგებოდ იქ და დააფიქსირა ევროკავშირის ერთობლივი კოლექტიური პოზიცია და წითელი ხაზი გაავლო აფხაზეთის ტერიტორიაზე.

***– ამით სააკაშვილს უთხრა, რომ ომი არ დაეწყო?***

– დიახ, ომი აკრძალული იყო ევროკავშირის მიერ. გავიხსენოთ, ამერიკის პრეზიდენტი ბუში რომ ჩამოვიდა, მოედანზე განაცხადა, რომ წითელი ხაზი გავლებულია და მას ვერავინ გადმოლახავსო.

***– ანუ საერთაშორისო საზოგადოება, მსოფლიო პოლიტიკური ელიტა სააკაშვილს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხში (რუსეთსა და საქართველოს შორის ძალების უთანაბრობას თავი რომ დავანებოთ) მხარს არ უჭერდა?***

– როგორ არ უჭერდა, მაგრამ დე ფაქტო ერთია, დე იურე – მეორე, პროპაგანდა და იდეოლოგიაც არის. გააჩნია, საიდან შეხედავ საკითხს. როცა აფხაზეთში აიკრძალა საომარი ესკალაცია მთელი საჯარისო ფორმირებების, არტილერიის (დიდი ფული იყო ამაში ჩადებული), მთელი სამხედრო მანქანის მობილიზაცია მოახდინა და რამდენიმე დღის განმავლობაში გადაადგილდებოდა ცხინვალის მიმართულებით. მე რომ თბილისისკენ მოვდიოდი, კოლონები მაშინაც მიდიოდნენ. რაღაცაში რომ იყო საქმე, გზაში დავრწმუნდი. ამ საჯარისო ფორმირებებმა ჩააღწია ცხინვალის მისადგომებთან და ამის შემდეგ დაიწყო საომარი ესკალაცია.

სააკაშვილის დანაშაული ის არის, რომ რუსეთს მშვიდობისმყოფელის სტატუსი არ მოუხსნა. სტატუსის მოხსნამდე დაიწყო საომარი ესკალაცია, რაც რუსებმა კარგად გამოიყენეს. იმ დროს ოლიმპიადა იყო ჩინეთში. დღენახევრის განმავლობაში საქართველოს საჯარისო ფორმირებებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს.

ეს, ფაქტობრივად, ხაფანგი იყო რუსეთის მხრიდან. სააკაშვილის გამოსვლაც მახსოვს, თითოეული ხისთვის და ბუჩქისთვის ბრძოლა მიმდინარეობს, როკის გვირაბს გადავკეტავთ, ჯავა ჩვენია და წარმატებული ვართო. ისეთი ილუზიები დაიხატა, ყველაზე დიდ სკეპტიკოსსაც კი დადებითად განაწყობდა.

პარადოქსალური ისიც არის, რომ სამხედრო მანქანის გადაადგილება კოსმოსიდანაც თვალსაჩინოდ ჩანდა და აქედანაც, მაგრამ არავის კითხვის ნიშანი არ დაბადებია ამ გადაადგილებაზე. შეეძლოთ გაეფრთხილებინათ და აეკრძალათ. კითხვები არ დასმულა. ეს არის ფაქტი. ამას ვერავინ უარყოფს. ომამდე თუ ომის შემდეგ რომ გააფრთხილა კონდოლიზა რაისმა და მანამდეც აფრთხილებდნენ, ეს მიამიტურად ჟღერს.

***– როცა საჯარისო ფორმირებები გადაადგილდებოდნენ, სააკაშვილი მაშინ უნდა გაეფრთხილებინათ?***

– დიახ, უნდა გაეფრთხილებინა, უნდა შეეზღუდათ, მარშრუტი, სტრატეგია და ტაქტიკა უნდა დაედგინათ და თავიანთი პარტნიორები, ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ხელმძღვანელები საქმის კურსში უნდა ჩაეყენებინათ.

***– პარტნიორებმა არ იცოდნენ, რომ ჯარის გადაადგილება ხდებოდა?***

– კოსმოსიდან ჩანს. ეგ თუ არ იცოდნენ, მაშინ ან წახალისება იყო, ან წაქეზება, ან კიდევ შორსმიმავალი მიზანი – რუსეთი შეეტყუებინათ უფრო დიდ ომში და, რუსეთის დიდ ომში ჩაბმით, თვითონ ეხეირათ. ან ეს გარკვეული ვარაუდებია, არცთუ უსაფუძვლო, მაკეინის კამპანიას დემოკრატების წინააღმდეგ რომ გაემარჯვა, უნდოდათ რუსები შემოეტყუებინათ თბილისში. ეს გაფორმდებოდა, როგორც ახალი მსოფლიო ომის დასაწყისი, ან რუსული იმპერიალიზმის აღზევება და ბუშის ადმინისტრაცია აგებდა თამაშს.

***– ომიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ, რუსთავი-2-მა პირდაპირ ეთერში ჩართო ამერიკელი პოლიტოლოგი ზბიგნევ ბზეჟინსკი. ჟურნალისტმა მას უსაყვედურა, ამერიკა რატომ არ დაგვეხმარაო. ბზეჟინსკიმ უპასუხა, 2 კვირა რომ გაგეძლოთ, დაგეხმარებოდითო. შეიძლება, რუსეთის დიდ ომში ჩათრევა მართლა უნდოდათ. შეიძლება 2 კვირა რომ გაგვეძლო, დაგვეხმარებოდნენ.***

– გათვლილი იყო, მაკეინსა და მის კამპანიას უნდოდა რუსეთი თბილისში შემოეტყუებინა. ამ შემთხვევაში ის პარტია გაიმარჯვებდა, რადგან სააკაშვილმა ვერ გაართვა თავი, ფიასკოთი დამთავრდა.

აფხაზეთში 13 თვე ვიომეთ. არანაირი მხარდაჭერა არ გვქონია, სამოქალაქო დაპირისპირების პრობლემა იყო. ამის მიუხედავად, ხალხმა გმირულად იბრძოლა. ახლა არის სავსებით სხვა რეალობა, რომელიც რთული გამოსასწორებელია.

***– ისე რომ გაგვეძლო, როგორც აფხაზეთში, იყო შანსი, რომ დაგვეხმარებოდნენ?***

– არ ვიცი. ამის თქმა ძალიან რთულია. ამერიკის პრეზიდენტის არჩევნები კარს მომდგარი იყო.

***– მე რეალურ დახმარებაზე ვსაუბრობ, ჯარითა და შეიარაღებით, ამას ჰპირდებოდა, რეალურად, ამერიკა?***

– დიახ, საჰაერო და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებებზეა საუბარი.

***– ანუ რეალურად ამერიკა რუსეთს დაუპირისპირდებოდა?***

– არ ვიცი, მაგათ სტრატეგიაში, სქემებში და გეგმებში ჩახედული უნდა იყო და უნდა იცოდე. შტაბში რა გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული. ისიც კარგად გვახსოვს, სარკოზიმ რუსები რომ გააჩერა და თბილისში ჩამოვიდა, ბუშმა უსაყვედურა, რატომ გააჩერე რუსები, ომი რატომ შეაწყვეტინეო. ეს შემდეგ დაიბეჭდა. ამიტომ ჩვენს ვერსიას აძლიერებს ის, რომ უნდოდათ რუსები თბილისში შემოსულიყვნენ, ისე მაკკეინის პარტია არჩევნებს ვერ იგებდა. წამგებიანი შედეგებით იქნა ხელმოწერილი შეთანხმება.

***– რამდენადაც მახსოვს, თითქოს ბუშმა უთხრა სარკოზის, ჩასულიყო მოსკოვში მოსალაპარაკებლად და ომი გაეჩერებინა.***



**ვის უნდოდა რუსული ჯარის თბილისში შემოსვლა**

– ეგ არ ვიცი. მე გითხარით ევროკავშირის პოზიცია. ევროკავშირისა და ამერიკის პოზიციები ამ შემთხვევაში ურთიერთსაწინააღმდეგო აღმოჩნდა. დღესაც ხდება ინტერესების გამიჯვნა. დიდმა ბრიტანეთმა, საერთოდ, დატოვა ევროკავშირი.

***– ე.ი. სააკაშვილი წინასწარ წაგებულ ომში ჩაება.***

– რა თქმა უნდა. არც ქვეყანა საომრად არ მოუმზადებია. პირიქით, სამართლებრივად დანაშაულებრივი გადაწყვეტილებები მიიღეს, როგორიცაა მეორე ე.წ. სამხრეთ ოსეთის შექმნა (სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის სახით), კოდორისთვის ზემო აფხაზეთის დარქმევა და ყველანაირი სამართლებრივი საფუძველი შექმნა მოეხდინა სამართლებრივი ოკუპაცია. დღეს ცხინვალის რეგიონში ჯარი რომ დგას, სააკაშვილისა და ბურჯანაძის პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილების საფუძველზეა. ამას ვერავინ უარყოფს. სამწუხაროდ, ამ პარლამენტში ერთი კაციც არ მოიძებნა იმისათვის, რომ ამ დანაშაულის რევიზია მოეწყო და მოეხდინა დანაშაულებრივი დადგენილებებისა და ხელშეკრულების დენონსაცია. ჩვენ გარედან ვეუბნებით, რა როგორ უნდა გაკეთდეს, მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევს.

***– სააკაშვილი არ იყო სამხედრო საკითხებში გარკვეული, როგორც მაგალითად დუდაევი. სააკაშვილი რომ აცხადებდა, როკის გვირაბს ჩავკეტავთო, როკის გვირაბი თავიდანვე არ უნდა ჩაეკეტა და მერე არ უნდა უნდა დაეწყო შეტევა, რომ რუსი თავისი ტანკებით არ შემოსულიყო? არც ავიაცია ჰყავდა სათანადო. მხოლოდ თუნდაც ძალიან ძლიერი ტანკებისა და მომზადებული ჯარის შეყვანით, რა წარმატებას მიაღწევდა?***

– არაფერს, წინასწარ განწირული კამპანია იყო. იდეოლოგიურად, სამართლებრივად, ისტორიულად, ყველანაირად წაგებულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით.

***– ასევე, როგორც ცნობილია, ომის დროს ბრძანებებს არასამხედრო განათლებისა და არასამხედრო პირი, თბილისის ყოფილი მერი უგულავაც იძლეოდა და პასუხი ამის გამო მისთვის არავის მოუთხოვია. ამ ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხი არ უნდა დადგეს?***

– დიახ, მათი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც ასეთ კოლაფსში მოყვა და გამოუსწორებელ მდგომარეობაშია, ომის წარუმატებლობის მიზეზების ანალიზი და მისი სამართლებრივ-პოლიტიკური და ყველანაირი არგუმენტი უნდა დაიდოს. ასეთი დამნაშავე პირების მიმართ სისხლის სამართლის საქმეები უნდა აღიძრას და ფუნდამენტალური შეფასებები უნდა მოხდეს. იგივე კოდორის ხეობისა (რომელიც უბრძოლველად დათმეს) და ცხინვალის რეგიონის გამო. აფხაზეთის უმაღლესი საბჭო ამაზე დუმს. პოლიტიკური ელიტა ამაზე დუმს. არ შეიქმნა ის კომისია, რომელიც ამ საკითხს გამოიძიებდა და დამნაშავეებს დაადგენდა. არაფორმალურ მმართველსაც არ აღუძრავს ამაზე საქმე.

***– თუმცა, მგონი გამოძიება მაინც მიმდინარეობს, საქმეს ჰააგის სასამართლო იძიებს. ჰააგის პროკურორი ფატუ ბენსუდა ახლაც მოუწოდებდა სოხუმს, ცხინვალსა და მოსკოვს მათთან თანამშრომლობისაკენ.***

– ეს არ არის საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება. ასეთი მიდგომა საქმის ისეთივე მიფუჩეჩებაა, შევარდნაძე რომ აცხადებდა, მე ვარ პასუხისმგებელი, აფხაზეთი არ დაეცემაო და მთელი აფხაზეთი დათმო და მომხდარი არ იქნა გამოძიებული. ეს ხელისუფლებაც იგივე გზას ადგას. ინდივიდუალურად, შეიძლება რაღაც საკითხები გამოიძიონ, მაგრამ კომპლექსურად, სახელმწიფო დონეზე საქმის გამოსაძიებლად, საჭიროა, პირველ რიგში ის დადგენილებები იქნას ანულირებული, რომელიც სააკაშვილ-ბურჯანაძე-ჟვანიას ხელისუფლებამ მიიღო, როდესაც ახალგორი შეუერთა მათ და ორი „სამხრეთ ოსეთი“ რომ შექმნა და დაიწყო მანიპულირება მსოფლიო საზოგადოების წინაშე. ეს იყო პირწმინდად წაგება. დღესაც რუსის ტანკები იმ ადმინისტრაციის ფარგლებში დგანან, რაზეც დადგენილებით სააკაშვილ-ბურჯანაძის მიერ ხელი იქნა მოწერილი. ეს უნდა გაუქმდეს.

შემაშფოთებელია ის, რაც ამერიკის ვიცე-პრეზიდენტ პენსის ჩამოსვლის დროს ცხინვალის რეგიონის სტატუსს შეეხებოდა. პენსისგან მივიღეთ უპრეცედენტო მხარდაჭერა, რომელმაც აღიარა და აღნიშნა საქართველოს ესოდენ მაღალი ცივილიზაციისა და კულტურის მონაპოვარი კაცობრიობის წინაშე და მისი დამსახურება. ეს პირველად მოხდა. პენსმა ის აღიარა, რასაც, ფაქტობრივად, ზვიად გამსახურდია ცდილობდა, რომ საქართველო წარმოეჩინა ამ მსოფლმხედველობრივი არეალიდან და მაღალი კულტურული გადმოსახედიდან. ამის აღიარება მოხდა და დიდი მადლობა ამისთვის, თუმცა, იყო ერთი დიდი ლაფსუსი – პენსმა თქვა, რომ აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ ოკუპირებულიაო. ეს არის შემაშფოთებელი განცხადება, რომლის თანახმადაც სამაჩაბლო და შიდა ქართლი კი არ აღინიშნება (ცხინვალის რეგიონს „სამხრეთ ოსეთს“ რომ უწოდებენ), არამედ დღევანდელმა ხელისუფლებამ, სააკაშვილის მსგავსად, „მოახერხა“ ის, რომ ამერიკის უმაღლესი ადმინისტრაცია ცხინვალის რეგიონს (სამაჩაბლოსა და შიდა ქართლის მთიანეთს) „სამხრეთ ოსეთს“ უწოდებს. ეს არის ნაღმი და მომავლისთვის უდიდეს საფრთხეს შეიცავს, რომლის გამოსწორება ძალიან რთული იქნება.

***– ეს ტერმინი იმ დადგენილებიდანაც გამომდინარეობს, რომლითაც შეიქმნა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დროებითი ადმინისტრაცია.***

– რასაკვირველია. ამ ტერმინის გამოყენება და დამკვიდრება ამერიკასა თუ სხვა ქვეყნებში მყოფი ჩვენი საელჩოების ბრალია.

***– სააკაშვილს, ბოკერიასა და სხვებს (სააკაშვილის ბიძა) თემურ ალასანია უმტკიცებდა, რომ რუსეთს „სამხრეთ ოსეთი“ არ აინტერესებდა, ასეთ ხმებსაც ავრცელებდნენ. სხვადასხვა ინტერვიუებზე დაყრდნობით ეჭვი მაქვს, რომ სააკაშვილმა რუსებს ცხინვალის რეგიონის სანაცვლოდ კოდორი შესთავაზა. ფართომასშტაბიანი ომი ცხინვალისთვის ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, როცა სააკაშვილს კოდორიდან მოსახლეობა გამოჰყავდა. ცხინვალის რეგიონის მოსახლეობა კი არ გამოიყვანა და იქ უპატრონოდ მიატოვა. ესეც ხომ არ იყო ერთ-ერთი მიზეზი სააკაშვილის ცხინვალზე შეტევისა?***

– სააკაშვილის ტვინში მე ვერ ჩავიხედავ. ცხინვალი უმნიშვნელოვანესია იმიტომ, რომ შეეძლო სამხრეთისა და ჩრდილოეთის ერთმანეთისგან გახლეჩა.

***– როგორ გახსენდებათ თბილისის დაცვის სტრატეგია და მაშინდელი ქართული პოლიტიკური ელიტა?***

– მახსოვს, ყველა კურდღლებივით გაიქცა. ყველა მიაწყდა საზღვარს. ოჯახები გახიზნული ჰყავდათ. დასავლეთ საქართველოში, ზუგდიდში ადმინისტრაცია საერთოდ არ ჩანდა. სომხეთისა და თურქეთის მიმართულებით მირბოდნენ, დარწმუნებული იყვნენ, რომ რუსები თბილისში შემოვიდოდნენ. ეს იყო ომის იმიტაცია მაგათი მხრიდან.

---

## ივლისში „ქართულმა ოცნებამ“ შემოწირულების სახით 1.270.000 ლარი, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კი – 102 ლარი მიიღო




მიმდინარე წლის ივლისში ყველაზე მეტი შემოწირულება „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მონაცემებით, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ შემოწირულობამ ივლისში 1.270.000 ლარი შეადგინა.

36.235 ლარის ოდენობის შემოწირულება მიიღო „ევროპულმა საქართველომ – მოძრაობამ თავისუფლებისთვის“. „ეროვნულ დემოკრატიულმა პარტიამ“ შემოწირულობის სახით 11.092 ლარი მიიღო, „გირჩმა“ – 8.300 ლარი; ალექსანდრე ელისაშვილის საარჩევნო ფონდმა – 3.120 ლარი; „საქართველოს ერთიანმა კომუნისტურმა პარტიამ“ – 268 ლარი; „საქართველოს მშვიდობისთვის“ – 200 ლარი; „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ – 102 ლარი; „რესპუბლიკურმა პარტიამ“ – 20 ლარი.

საარჩევნო სუბიექტების შემოწირულობებმა სულ ივლისის თვეში 1.329.337,50 ლარი შეადგინა.

ბიპიენი

# „კოდორის ჩაბარებაზე სააკაშვილმა და რუსებმა 2006 წელს მოილაპარაკეს“

## ნორა კვიციანი: „აგვიხსნან ნაციონალებმა, რატომ გადასცეს მოწინააღმდეგეს ათეულობით მილიონი დოლარის ღირებულების იარაღი“

შორენა მარსაგიშვილი

ვინ და რატომ გასცა კოდორის ხეობის უბრძოლველად ჩაბარების ბრძანება, სად გაქრა ათეულობით მილიონი დოლარის ღირებულების იარაღი, რა შეთანხმება იყო რუსებთან, რატომ არ ისჯებიან დამნაშავეები? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტპატიმარი ნორა კვიციანი ესაუბრება.

**ნორა კვიციანი:**

– კოდორის ხეობა სააკაშვილის ხელისუფლებამ, რომელიც მე და ჩემს ოჯახს მოღალატეებს გვიწოდებდა, 2008 წლის 12 აგვისტოს უბრძოლველად ჩააბარა. ერთი ტყვიაც კი არ გაუსვრიათ, ისე დატოვეს ხეობა.

ამ ტრაგედიის შემდეგ მივხვდი, თუ რატომ მოგვაშორეს მე და ჩემი ძმა ემზარი ხეობას. მე ციხეში გამიშვეს, ის რუსებს გადასცეს. ჩვენ რომ იქ ვყოფილიყავით, ხეობა დღეს ისევ საქართველოს შემადგენლობაში იქნებოდა.

***– დარწმუნებული ხართ, რომ კიდევ შეძლებდით ხეობის დაცვას?***

– 14 წლის განმავლობაში თითქმის შიშველი ხელებით ვინარჩუნებდით ხეობას და არც 2008 წელს გაგვიჭირდებოდა. 2008 წლისგან განსხვავებით, წინა წლებში ადგილობრივი ძალებით გვიწევდა ბრძოლა. იმ წელს კი იქ საჯარისო შენაერთები ჰყავდათ შემოყვანილი და დიდძალი იარაღი იყო შემოტანილი.

ვეკითხები ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს, როგორ ჩააბარეთ ასე უბრძოლველად საქართველოს ტერიტორია მტერს? გამცენ პასუხი, რატომ დატოვეს იქაურობა მანამდე, ვიდრე ხეობაში შეტევა დაიწყებოდა? ყველამ იცის, რომ რუსები ხეობაში რამდენიმე დღის მანძილზე არ შედიოდნენ.

***– მოგვიანებით ვანო მერაბიშვილმა თქვა, რომ მე გავეცი ხეობის დატოვების ბრძანებაო.***

– ვითომ ზედმეტ სისხლისღვრას მოერიდა. კარგი, ვთქვათ, მართლაც ხალხს და საჯარისო დანაყოფებს გაუფრთხილდნენ, მაგრამ იმხელა ტყვია-წამალი და შეიარაღება რატომ დატოვეს იქ? თავისუფლად შეეძლოთ სანამ ხეობიდან გამოვიდოდნენ, იარაღის საწყობები აეფეთქებინათ.

ამ შეიარაღებას აფხაზები და რუსები რამდენიმე თვის მანძილზე ეზიდებოდნენ. საუბარია რამდენიმე ათეული მილიონი დოლარის ღირებულების შეიარაღებაზე. ალბათ ისტორიას არ ახსოვს ასეთი ღია ღალატი. იმედი მაქვს, რომ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება გამოიძიებს, თუ რატომ მოხდა ეს ყველაფერი. აუცილებლად უნდა გაირკვეს, თუ რატომ და ვისი მითითებით გასცა მერაბიშვილმა ხეობის უბრძოლველად დატოვების ბრძანება.

***– თქვენი აზრით, ვისი მითითებით გაიცა ეს ბრძანება? მერაბიშვილის ზემდგომი მიხეილ სააკაშვილი იყო.***

– სააკაშვილის გარეშე მერაბიშვილი გადაწყვეტილებას არ მიიღებდა. სააკაშვილმა თავის მხრივ სხვებისგან მიიღო ეს მითითება. უფრო სწორედ თუ გეტყვით, მან ის შეთანხმება შეასრულა, რაც რუსებთან რამდენიმე წლით ადრე გააფორმა.

***– რა შეთანხმებაზე საუბრობთ?***

– კოდორის ჩაბარებას უკავშირდება ეს შეთანხმება. ხეობა სინამდვილეში 2006 წელს ჩაბარდა. 2008 წლის 12 აგვისტოს მხოლოდ ოფიციალურად მოხდა ამის გაფორმება.

***– 2006 წელს როცა ახსენებთ, კოდორის ცნობილ მოვლენებს გულისხმობთ, რომელიც ემზარ კვიციანის ამბოხების სახელით არის ცნობილი?***

– ემზარმა მაშინვე თქვა, თუ რისთვის ემზადებოდნენ ნაციონალები. ის მიხვდა, რომ ხეობის ჩაბარება იგეგმებოდა და ამიტომაც გადაწყვიტა, ამისთვის წინააღმდეგობა გაეწია. არავითარი ამბოხება იქ არ ყოფილა, ეს იყო ხეობის გადარჩენის მცდელობა. მაშინ ჩემს ძმას ყველა მოღალატეს ეძახდა. 2008 წლის 12 აგვისტოს ყველა მიხვდა, თუ რა მოხდა სინამდვილეში 2006 წლის ზაფხულში.

2006 წლის ზაფხულში დადგეს სპექტაკლი, მოაწყვეს პროვოკაცია, რომელიც ხეობიდან იმ ხალხის გაძევებას ისახავდა მიზნად, ვინც ხეობის დაცვას ითავებდა.

***– თქვენ ამბობთ, რომ 2006 წლის მოვლენები ხეობის ჩაბარებას ისახავდა მიზნად. თუ ხეობის ჩაბარებას გეგმავდნენ, ამდენი იარაღი რატომ შეიტანეს?***

– ეს იარაღი ძირითადად უცხოური წარმოების იყო. ეტყობა, რუსებთან ამ იარაღის მიყიდვაზეც იყვნენ შეთანხმებული. შეიარაღების გაყიდვა ასეთი ადვილი არ არის. ამიტომ შეიტანეს ხეობაში და შემდეგ ხეობასთან ერთად ჩააბარეს.



***– კოდორი მოწინააღმდეგის ხელში ცნობილი მოვლენებიდან 2 წლის თავზე გადავიდა. თუ გარიგება იყო, ამდენი ხანი რას ელოდებოდნენ?***

– ხელსაყრელ დროს. მაშინვე არ გამოვიდოდა ხეობის ჩაბარება, თან ჩვენი დისკრედიტაციაც საჭირო იყო. ეს ყველაფერი რუსეთთან იყო შეთანხმებული. მაგათთან რომ არ ყოფილიყვნენ გარიგებულები, ხეობაში ქართულ საჯარისო შენაერთებს არავინ შემოუშვებდა.

2008 წლის ომამდე საქართველოს ტერიტორიაზე რუსი სამშვიდობოები იდგნენ. სამშვიდობოების ერთ-ერთი საგუშაგო სოფელ ჯვარში იყო განთავსებული. კოდორში სამანქანე გზით შემოსვლა მხოლოდ ჯვარის გავლით შეიძლებოდა. ამ გზით შემოგვქონდა ზამთრისთვის პროდუქტი. რუსები თავიანთ საგუშაგოზე თავიდან ბოლომდე გვჩხრეკდნენ.

1994 წელს მიღწეული შეთანხმების თანახმად, საქართველო ხეობაში საჯარისო შენაერთს ვერ შეიყვანდა. 2006 წელს კი მთელი დანაყოფები უპრობლემოდ გამოატარეს. ნაციონალებმა უნდა აგვიხსნან, რატომ მოიქცნენ მაშინ რუსები ასე. მე კი ვიცი, რატომაც მოიქცნენ, მაგრამ ხალხმაც უნდა იცოდეს.

***– 1994 წლის შეთანხმება ახსენეთ და ამ შეთანხმების მიუხედავად, ხეობაში მაინც ფუნქციონირებდა შეიარაღებული ფორმირება.***

– ეს იყო ადგილობრივი მოსახლეობისგან შექმნილი სახალხო ლაშქარი. მას „მონადირეს“ ვეძახდით. „მონადირე“ აფხაზეთის ომის დასრულებისთანავე შეიქმნა. ბიჭებმა დაიფიცეს, რომ ხეობას კბილებით დაიცავდნენ და მართლაც ასე გააკეთეს. მათთან ერთად ამ პროცესში ქალებიც ვიყავით ჩართულები. ყველას იარაღი გვეჭირა. სხვანაირად არ გამოდიოდა.

ბევრი უბედურება ვნახეთ იმ წლების მანძილზე. ბევრ შემოტევას გავუძელით და მსხვერპლიც დიდი გვქონდა. უამრავი ადამიანი დაინვალიდდა. მეც მეორე ჯგუფის ინვალიდი გავხდი.

„მონადირესთან“ დაკავშირებით მოწინააღმდეგეს ადრეც ჰქონდა პრეტენზიები, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება თავს იმით იმართლებდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა თავის თავს იცავდა და ამას ვერავის აუკრძალავდნენ. ხეობაში აფხაზეთის ომის შემდეგ დიდძალი იარაღი დარჩა. იარაღი სახლში ყველას ჰქონდა, სხვანაირად იქ არ შეიძლებოდა.

***– „მონადირე“ ერთი პერიოდი თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაშიც იყო. ამას როგორ შეხვდა მოწინააღმდეგე.***

– ამაზეც დიდი ამბები ატეხეს, მაგრამ ჩვენ ჩვენი გავიტანეთ. ძალიან დაგვეხმარა თავდაცვის მაშინდელი მინისტრი დავით თევზაძე. 2008 წლის აგვისტოში იქ „მონადირე“ რომ მდგარიყო, ხეობა არ ჩაბარდებოდა.

„მონადირე“ გავიხსენეთ და ხეობის ჩაბარების გეგმის განხორციელება სწორედ ამ ბატალიონის გაუქმების შემდეგ დაიწყო. ბატალიონის გაუქმების ბრძანება ირაკლი ოქრუაშვილმა გასცა.

ამის გამო მას ირაკლი ალასანია დაუპირისპირდა. ალასანიას იმ დროისთვის აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი ეკავა. მან თქვა, რომ „მონადირის“ გაუქმება არ შეიძლებოდა. ალასანია მზად იყო, „მონადირე“ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოსთვის დაექვემდებარებინა. ამ განცხადებიდან ძალიან მალე ის მოხსნეს და გაეროში ელჩად გაუშვეს. ჩვენ კი, ხეობას უამრავი იარაღი და უკანონო ფორმირება შეგვრჩა ხელთ.

მეგონა, რომ „მონადირის“ გაუქმებას გია ბარამიძეც გააპროტესტებდა, მაგრამ მოვტყუვდი. არადა ის გვერდში დადგომას შეგვპირდა.

***– როდის შეგპირდათ გვერდში დადგომას?***

– თავდაცვის მინისტრი როცა იყო. ოქრუაშვილამდე მას ეკავა ეს თანამდებობა. ხეობაში შემოფრინდა და დიდი რაოდენობით შემოიტანა იარაღი.

***– იარაღის შემოტანა რა საჭირო იყო, თავად ამბობთ, რომ იქ ისედაც იყო იარაღი და შეიარაღება „მონადირის“ წევრებსაც ჰქონდათ.***

– შესაძლოა იარაღის შემოტანაც საერთო გეგმის ნაწილი იყო. ერთმანეთს ბევრი რამე დაემთხვა საეჭვოდ. 2006 წელს საქართველოს ხელისუფლება იძახდა, რომ თითქოს ჩვენ იარაღი რუსებმა მოგვცეს, არადა ეს იარაღი ბარამიძემ შემოგვიტანა.

ეს იარაღი ოჯახებში დავარიგეთ, რაც დარჩა, საწყობში შევინახეთ. უამრავი ჭურვი და სხვადასხვა სახის ასაფეთქებელი ნივთიერება იყო იქ.

როცა ოქრუაშვილმა „მონადირის“ გაუქმების ბრძანება გასცა, ხეობაში ვიყავი. კინაღამ გავგიჟდი, პოზიციასაც ვურეკავდი და ოპოზიციასაც, მაგრამ ჩვენს მხარდასაჭერად ხმა ირაკლი ალასანიას გარდა არავინ ამოიღო.

ჩემი ძმა ემზარი, ალასანიაზე ნაწყენია, მაგრამ ეს იმის უფლებას არ მაძლევს, რომ სიმართლე არ ვთქვა. მაშინ გვერდში მხოლოდ ირაკლი დაგვიდგა და ამისთვის მინდა კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა.

***– ციხიდან გამოსვლის შემდეგ თუ ნახეთ ირაკლი ალასანია?***

– ერთხელ ვნახე. ძალიან მინდოდა ირაკლი ოქრუაშვილის ნახვა, მაგრამ ვერსად ვერ შევხვდი.

***– ოქრუაშვილის ნახვა რატომ გინდოდათ?***

– 2006 წელს სპეცოპერაციას ეგ ხელმძღვანელობდა. თავად აღიარა, რომ ჩემი ძმის ლიკვიდაციის ბრძანება გასცა. ის მეუფე იობის მრევლია და ერთხელ მეუფემ მითხრა, რომ იმ ამბებს ძალიან ნანობსო. შეუცდომელი არავინ ვართ და გამეხარდა, ეს ადამიანი თავის შეცდომას რომ მიხვდა, მაგრამ თურმე არაფერსაც არ ნანობს.

ერთ დღესაც ტელევიზიას მორიგი ინტერვიუ მისცა, სადაც 2006 წლის სპეცოპერაციაზეც საუბრობდა. თქვა, რომ მაშინ ემზარის ლიკვიდაციის ბრძანება გასცა და ახლაც იგივეს გაიმეორებდა.

ამ გადაცემის მეორე თუ მესამე დღეს მეუფე იობს შევხვდი და ვკითხე, იმ გადაცემას ხომ არ უყურეთ-თქო. არ ჰქონდა ნანახი. მე მოვუყევი, რაც ირაკლი ოქრუაშვილმა თქვა, ძალიან გაუკვირდა, ისე გაუკვირდა, რომ გაოგნებული დარჩა.

ძალიან მინდა ოქრუაშვილის ნახვა, მინდა ვკითხო, რატომ მოიქცა მაშინ ასე. რატომ გასცა ჩვენი სახლების გადაწვის ბრძანება.

ჩემი სახლი ისე აიღეს, თითქოს მტრის ციხესიმაგრე ყოფილიყო. ზედ საქართველოს დროშაც აღმართეს. თითქოს მე საქართველოსთვის არ ვიბრძოდი წლების მანძილზე.

მფრინავებს ის უკანონო ბრძანება რომ შეესრულებინათ, სად აღმართავდნენ დროშას? ოქრუაშვილი ხომ ჩემი და ემზარის სახლების დადუღებას ითხოვდა.

***– რაიმე პირადი უთანხმოება ხომ არ გქონდათ ოქრუაშვილთან?***

– არანაირი. ძალიან მიკვირს, რატომ მოიქცა ასე. იმედი მაქვს, გავარკვევ.

***– თქვენი აზრით, ოქრუაშვილი დამოუკიდებლად მოქმედებდა?***

– არა, ის სააკაშვილის მითითებებს ასრულებდა. შეუცდომელი არავინაა, მაგრამ იმისთვის რომ აპატიო, ადამიანმა ბოდიში უნდა მოიხადოს. მას შეუძლია სიმართლე თქვას. თავადაც კარგად იცის, რომ მაშინ ძალიან ცუდი რამე გააკეთა.

ჩვენი მფრინავების შეგნებული საქციელი და თავდადება რომ არა, 2006 წელს კოდორში დიდი სისხლი დაიღვრებოდა. გარდა იმისა, რომ ჩემი და ემზარის სახლების დადუღება მოითხოვეს, ჩვენი სოფელი – ჩხალთაც მიწასთან უნდა გაესწორებინათ.

მფრინავებს არაზუსტი ინფორმაცია მიაწოდეს და უთხრეს, რომ მოსახლეობა გახიზნული იყო და ჩხალთაში მხოლოდ კრიმინალები აფარებდნენ თავს. ვერტმფრენები რომ შემოფრინდნენ, ის-ის იყო, დაბომბვა უნდა დაეწყოთ, რომ ქალები და ბავშვები დაინახეს. ჭურვები ტყეებში და მდინარეში ჩამოყარეს.

უკვე გიყვებოდი, რომ გია ბარამიძემ დიდი რაოდენობით იარაღი შემოგვიტანა და ის იარაღი ჩხალთაში საწყობში ინახებოდა. იფიქრა ვინმემ, რა მოხდებოდა, ჭურვი საბრძოლო მასალების საწყობს რომ დასცემოდა? იქაურობა მთლიანად აფეთქდებოდა.

მფრინავები ვაჟკაცურად მოიქცნენ, ბევრი ადამიანის სიცოცხლე იხსნეს და ამის გამო თავად სერიოზული პრობლემები შეექმნათ. ერთ-ერთი მათგანი – იმედო მაისურაძე ოქრუაშვილმა დააპატიმრებინა კიდევაც. ამ ადამიანებს კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას. მათ სხვების სიცოცხლის გადასარჩენად საკუთარი სიცოცხლე დადეს სასწორზე. ასე ბევრი არ მოიქცეოდა.

ახლა ჩვენს სიმართლეზე იოლია საუბარი, მაშინ ყველა მტრად და მოღალატედ მიგვიჩნევდა. ათასი რამე დამაბრალეს და სულ ცოტა ხნის წინ გავიგე, რომ ტერორისტადაც მივაჩნდი თურმე.

***– ვის მიაჩნდით ტერორისტად?***

– სააკაშვილს. მე მეგონა, პოლიციამ ან სპეცრაზმმა დამაკავა, თურმე ანტიტერორისტული ცენტრის თანამშრომლებს დავუკავებივარ. 14 წელი ქვეყნის სადარაჯოზე ვიდექი და ეს მეკუთვნოდა? ან იმ წამების ღირსი ვიყავი, რაც ციხეში გამოვიარე? მე ერთგულებისთვის დამსაჯეს. უფლის წყალობა რომ არა, ალბათ ამ საშინელებებს ვერ გადავიტანდი.

უფალმა ეს განსაცდელიც გადამატანინა და იმასაც მომასწრო, რომ დღეს სრულიად გამართლებული ვარ. ქუჩაში ხალხი სიყვარულით მეგებება, მეფერებიან.

იგივე შემიძლია ვთქვა ემზარზეც. დღეს ნაციონალების დიდი ნაწილი ან გაქცეულია, ან ციხეშია. ჩემი ძმა დეპუტატია და ქუჩაში თავისუფლად დადის. საზოგადოება მის უდანაშაულობაშიც დარწმუნდა.

***– თუმცა მასთან დაკავშირებით მაინც არის კითხვის ნიშნები, საზოგადოებას აინტერესებს, რატომ შეაფარა მან რუსეთს თავი? ან რატომ შეიფარა რუსეთმა? თქვენ ხომ ამბობთ, რომ კოდორის მოვლენები რუსების და ნაციონალების ერთობლივი გეგმა იყო.***

– ეს მართლაც მათი ერთობლივი გეგმა იყო. ემზარის რუსეთში წასვლას რაც შეეხება, ეს იყო ძალიან დიდი ღალატი მის წინააღმდეგ.

***– რას გულისხმობთ?***

– ემზარს ერთი შინაური მიუგზავნეს, რომელიც მოღალატე გამოდგა. მან ემზარი ფაქტიურად რუსებს გადასცა. ჩემი ძმა იქ ტყვეობაში ცხოვრობდა.

***– რას ნიშნავს ტყვეობაში ცხოვრობდა?***

– არაფრის უფლება არ ჰქონდა.

***– არაფრის უფლებაში რას გულისხმობთ?***

– არც მუშაობის უფლება არ ჰქონდა, ქალაქიდანაც კი ვერ გადიოდა. მისი შვილები განათლებას ვერ ღებულობდნენ. მას აქედან უგზავნიდნენ ჩემი და-ძმები ფულს. იქაც ვიღაცები ეხმარებოდნენ.

კარგად რომ ყოფილიყო, აქ წამოვიდოდა და ციხეში ჩაჯდებოდა? აბა ნახეთ, გაქცეულებს ყველას ბიზნესი აქვს აწყობილი. ემზარის კი არაფერი გააჩნდა, ის რუსებს სააკაშვილმა ტყვედ გადასცა.

ჩემი სიმართლე სრულად გაირკვა, ემზარიც ყველაფერში გამართლდება მალე. მინდა, კოდორის ამბებზე გამოძიებაც ჩატარდეს, რომ ყველამ გაიგოს, თუ რა მოხდა იქ 2006-2008 წლებში. დარწმუნებული ვარ, ბევრი სკანდალური და საინტერესო ამბავი გაიხსნება.

ნაციონალებს იმდენი სისაძაგლე აქვთ ჩადენილი, გარეთ არ უნდა გამოდიოდნენ, ეგენი კი რა დღეში არიან. ემზარის მიმართ განსაკუთრებული აგრესია აქვთ, დღემდე ცდილობენ პროვოკაციაზე წამოიკიდონ. მჯერა, რომ აღარ გამოუვათ. ჩვენ ჩვენი სიმართლე დავამტკიცეთ, გული იმაზე მტკივა, რომ ხეობა დაიკარგა, რომლის დაცვასაც ამდენი ადამიანი შეეწირა.

# უსუფაშვილის უარი ვაშაძეს

## ერთიან კანდიდატზე ვერც პრორუსული პარტიები თანხმდებიან

შორენა მარსაგიშვილი



გასულ კვირას „ახალი საქართველოს“ ლიდერმა ოპოზიციას გაერთიანებისაკენ მოუწოდა. გიორგი ვაშაძის თქმით, კარგი იქნება თუ ოპოზიცია მერობის ერთიანი კანდიდატის გამოსავლენად პრაიმერის ჩაატარებს.

გაერთიანების იდეას რამდენიმე პარტია უკვე გამოეხმაურა. შედარებით მსხვილი და ცნობადი პარტიები თავს იკავებენ.

თავშეკავებულთა შორის აღმოჩნდა დავით უსუფაშვილის პარტია „შენების მოძრაობა“. მათ თავიანთი მერობის კანდიდატი უკვე დაასახელეს. „შენების მოძრაობაში“ თვლიან, რომ მერობის ერთიანი კანდიდატის იდეა მხოლოდ მეორე ტურის დანიშვნის შემთხვევაში გახდება ეფექტური.

– ეს არარეალისტურია, რადგან წინასაარჩევნო პრაიმერი მიუღწეველია; არაეფექტიანია, რადგან პირველ ტურში სინერგიის ეფექტი ვერ მიიღწევა და საერთო კანდიდატის შედეგი ნაკლები იქნება, ვიდრე ყველა ოპოზიციური კანდიდატის შედეგების ჯამი.

შესაბამისად, ორტურიანი არჩევნების ლოგიკა და ძალთა არსებული ბალანსი იმაზე მიგვითითებს, რომ შესაძლო ოპოზიციური ერთობის საკითხი მხოლოდ მეორე ტურის დანიშვნის შემთხვევაში შეიძლება გახდეს რეალისტურიც და ეფექტიანიც. გარდა ამისა, ყოველი მორიგი „ქუდზე კაცი არსებული ხელისუფლების შესაცვლელად“ წარმატების შემთხვევაშიც კი შობს ისეთ ახალ ხელისუფლებას, რომელიც მალევე „ქუდზე კაცით“ ხდება შესაცვლელი, – აცხადებენ „შენების მოძრაობაში“.

მათი აზრით, ადეკვატურად უნდა ვიმოქმედოთ. რადგანაც თბილისს სჭირდება კარგი მერი და არა „ვინც გინდა, ოღონდ არა „ოცნება“.

მერობის ერთიანი კანდიდატის აუცილებლობაზე საუბრობენ პრორუსულად შერაცხული პარტიებიც. ,,თავისუფალი საქართველოს“ ლიდერის კახა კუკავას თქმით, ცალკეული კანდიდატების დასახელება ოპოზიციური პარტიების მხრიდან „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის ინტერესებს ემსახურება.



კუკავა ერთიან კანდიდატზე შესაჯერებლად ლეიბორისტებს, პატრიოტთა ალიანსსა და ნინო ბურჯანაძის დემოკრატიულ მოძრაობას მიმართავს.

– „თავისუფალი საქართველო“ მიმდინარე კვირის ბოლომდე დაელოდება ოპოზიციური პარტიების შემხვედრ პოზიციას, რის შემდეგაც მომავალ კვირას დავიწყებთ საარჩევნო კამპანიას – დამოუკიდებლად ან პარტნიორებთან ერთად, – აცხადებს კუკავა.

ამ განცხადებას დემოკრატიულ მოძრაობაში გამოეხმაურნენ. პარტიის ლიდერის ნინო ბურჯანაძის შეფასებით, ოპოზიციის გარკვეული ნაწილი ფეხს ითრევს მერობის ერთიანი კანდიდატის დასახელებისგან.

– დემოკრატიული მოძრაობა გახლდათ ერთ-ერთი უპირველესი ინიციატორი აღნიშნული იდეის, რადგან ვფიქრობთ, რომ ერთად უფრო მარტივად შევძლებთ „ქართული ოცნების“ კანდიდატის დამარცხებას. ამ შემთხვევაში საუბარი არაა პარტიების გაერთიანებაზე, მოლაპარაკებები მიმდინარეობს მხოლოდ მერობის საერთო კანდიდატის ირგვლივ. როგორც ჩანს, ამ ეტაპზე გარკვეული პარტიები ფეხს ითრევენ და არ ჩქარობენ საკუთარი პოზიციის გახმოვანებას. დემოკრატიული მოძრაობას ჰყავს ძალიან ღირსეული კანდიდატი დიმიტრი ლორთქიფანიძის სახით, თუმცა ჩვენ კიდევ ერთხელ ვაფიქსირებთ მზაობას მოლაპარაკებებისთვის, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

# აფგან მუხთარლის საქმეს ევროსასამართლო 7 აზერბაიჯანელი ჟურნალისტის საქმეებთან ერთად განიხილავს

## რა დასკვნას დადებს საქართველოს პროკურატურა?

მარიამ მჭედლიშვილი

აზერბაიჯანელი ჟურნალისტის საქმე სახელწოდებით „აფგან მუხთარლი აზერბაიჯანისა და საქართველოს წინააღმდეგ“ დიდი ხანია, პრიორიტეტულად აღიარა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ.

დღეს მუხთარლის საჩივარი სტრასბურის სასამართლომ ოფიციალურად გააერთიანა სხვა შვიდი აზერბაიჯანელი ჟურნალისტის საჩივრებთან და მათი წარმოება ერთობლივად მოხდება.

8 მომჩივან ჟურნალისტს აერთიანებს ის, რომ მათ მიმართ გამოიყენეს ძალადობა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. მათ მიმართ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ის მუხლები, რომლებიც კრძალავს წამებას და უზრუნველყოფს გამოხატვის თავისუფლებას.

ამჟამად ბაქოს წინასწარი დაკავების იზოლატორში მყოფ აფგან მუხთარლის ჯანმრთელობა აქვს შერყეული. მის საქმეს იქ აზერბაიჯანის პროკურატურაც იძიებს. აზერბაიჯანის პროკურატურის ვერსიით, 29 მაისს აფგან მუხთარლიმ დაარღვია საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი და წინააღმდეგობა გაუწია მესაზღვრეს, მას თან ჰქონდა კონტრაბანდული ფული.

დაცვა ამ ვერსიას შეთითხნილს უწოდებს და აცხადებს, რომ მუხთარლი თბილისის ცენტრიდან გაიტაცეს. მუხთარლის ინფორმაციით, მის გამტაცებლებს საქართველოს კრიმინალური პოლიციის ფორმები ეცვათ. გამტაცებლებმა გატაცებული აზერბაიჯანულ მხარეს გადასცეს.

ევროპაში მომჩივანი 8 ჟურნალისტის გარდა, აზერბაიჯანში არიან მათი კოლეგები, რომლებსაც რეპრესირებულებად და პოლიტპატიმრებად მიიჩნევენ.

ერთ-ერთ მათგანს, ელჩინ ისმაილის, ბრალი დაუმძიმდა. ადრე მას ფულის გამოძალვასა და უფლებამოსილების გადამეტებაში ადანაშაულებდნენ, ახლა კი ქრთამის აღებას ედავებიან.

უფლებადამცველები ბრალდებებს გაყალბებულს უწოდებენ. მათი თქმით, ისმაილი კრიტიკული მასალებისათვის ისჯება. მას ქრთამი არ აუღია, არც თანხა გამოუძალავს ვინმესთვის. ჟურნალისტმა 1000 აზერბაიჯანული მანათი ისესხა ნაცნობისაგან, რომელიც კულტურისა და ტურიზმის განყოფილებაში მუშაობს.



უფლებადამცველების აზრით, 5-თვიანი პატიმრობა მიუსაჯეს კიდევ ერთ უდანაშაულო ჟურნალისტს მახბუბ ზულფუგარლის. მას ერთი ჩინოსანი ცილისწამებას აბრალებს.

აზერბაიჯანი და ბელორუსია ერთად გაეხვივნენ ცნობილი ბლოგერის, ალექსანდრ ლაპშინის სკანდალში. მას პატიმრობა მიესაჯა იმის გამო, რომ დაარღვია საზღვარი და იმყოფებოდა სეპარატისტულ მთიან ყარაბაღში. მისი ექსტრადირება აზერბაიჯანში ბელორუსიიდან მოხდა. ლაპშინი უკრაინის, ისრაელისა და რუსეთის მოქალაქეა. მისი ექსტრადირება ისრაელმა და რუსეთმაც გააპროტესტეს. საერთაშორისო ორგანიზაციებმა მოითხოვეს მისი გათავისუფლება.

აზერბაიჯანში ბლოგერებისა და ჟურნალისტების დევნაზე სპეციალური მოხსენება აქვს მომზადებული საერთაშორისო ორგანიზაციას „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“. მისი შეფასებით, აზერბაიჯანში მოგონილი ბრალდებით ჟურნალისტებს კრიტიკული მასალებისათვის იჭერენ.

აფგან მუხთარლის გათავისუფლება აზერბაიჯანს, უფლებადამცველების გარდა, ევროპარლამენტმა დაკავებისთანავე მოსთხოვა. ევროდეპუტატებმა თავის სპეციალურ რეზოლუციაში საქართველოსაც მოუწოდეს, ოპერატიულად გამოიძიოს მისი გატაცების საქმე.

ამჟამად საქმის გამოძიება პოლიციიდან მთავარმა პროკურატურამ ჩაიბარა.

# ელექტროენერგიის ექსპორტი წლიურად 8.6%-ით გაიზარდა

ელექტროენერგიის ექსპორტი ივნისში წლიურად 8.6%-ით გაიზარდა და 230.1 გვტ.სთ-ს შეადგინა. G&T-ის ინფორმაციით, 2017 წლის პირველი ნახევრის ჯამური ექსპორტი 7.4%-ითაა გაზრდილი. თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტი შემცირდა 38.8%-ით, თუმცა საკმაოდ მაღალი იყო წინა წლის ბაზა (+23.1% წ/წ). თურქეთში ექსპორტმა ჯამური ელექტროენერგიის ექსპორტის 28.3% შეადგინა, უმსხვილესი ექსპორტიორები კი 89.0 მგვტ.-იანი ფარავან ჰესის მფლობელი, საქართველო ურბან ენერჯი (58.0%) და 47.5 მგვტ.-იანი ხელვაჩაური ჰესის მფლობელი კომპანია, აჭარ ენერჯი 2007 (26.2%) იყვნენ.



თურქეთის მიმართულებით 5.1 გვტ.სთ.-ის მოცულობის (ჯამურის 8.0%) ექსპორტი განახორციელა ესკომაც, აზერბაიჯანიდან 2012 წელს განხორციელებული იმპორტის სანაცვლოდ. სომხეთის მიმართულებით ექსპორტი წლიურად 2.3%-ით შემცირდა და ჯამური ექსპორტის 18.4% შეადგინა. სომხეთში ექსპორტი გაიყო საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციასა (60.3%) და ესკოს (39.7%) შორის. ამ უკანასკნელმა ექსპორტი განახორციელა 2017 წლის თებერვალი-აპრილის პერიოდში სომხეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის სანაცვლოდ.

რუსეთის მიმართულებით ექსპორტი გაორმაგდა (+98.2% წ/წ) და ჯამური ექსპორტის დაახლოებით ნახევარი (53.3%) შეადგინა. ესკო ერთადერთი ექსპორტიორი იყო ამ მიმართულებით. რუსეთის მიმართულებით ექსპორტის ზრდის მიზეზია თვის მეორე ნახევარში გენერაციის მოულოდნელი სიჭარბე და სხვა ბაზრების მოუქნელობა იმპორტის მიმართ მოკლევადიანი გაფრთხილებით. ჯამურად, ივნისის თვეში ექსპორტის 63.4% განახორციელა ესკომ.

# ლია გიგაური – 2018 წლის სექტემბრიდან, I-VI კლასის მოსწავლეებს უფრო მაღალი ხარისხის სახელმძღვანელოებს შევთავაზებთ

– 2018 წლის სექტემბრიდან, I-VI კლასის მოსწავლეებს უფრო მაღალი ხარისხის სახელმძღვანელოებს შევთავაზებთ, – ამის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, ლია გიგაურმა ambebi.ge-სთან ინტერვიუში განაცხადა.

მისი ინფორმაციით, განათლების სამინისტრომ უკვე გამოაცხადა I-VI კლასის სახელმძღვანელოების კონკურსი. ახალი სახელმძღვანელოები 2018 წლის სექტემბრიდან შევა სკოლებში.

– ამ მიმართულებითაც ორი მნიშვნელოვანი ცვლილება გვაქვს: პირველი – სახელმძღვანელოები არსებითად გაუმჯობესებული იქნება შინაარსობრივად, ვინაიდან პროგრამები არის განტვირთული, ამასთან შეფასება მოხდება უფრო ბევრი და მრავალფეროვანი კრიტერიუმების მიხედვით. მნიშვნელოვანია, რომ სახელმძღვანელოების შეფასებაში პირველად ჩართული იქნება საზოგადოება – ავტორების მიერ წარმოდგენილი სახელმძღვანელოების პროექტები განთავსდება განათლების სამინისტროს ვებგვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისათვის, რომელთაც შეეძლებათ, რომ თავისი შენიშვნები, რეკომენდაციები და შეფასებები შემოგვთავაზონ. ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს და I-VI კლასის მოსწავლეებს 2018 წლის სექტემბრიდან უფრო მაღალი ხარისხის სახელმძღვანელოებს შევთავაზებთ, – განაცხადა ლია გიგაურმა.

მისივე განმარტებით, ახალი სახელმძღვანელოების ტექნიკური მახასიათებლები გაუმჯობესდება.



ამასთან, მინისტრის მოადგილის თქმით, ჩანთის სიმძიმის პრობლემა მომავალში მოსწავლეებს ნაკლებად შეაწუხებთ, რადგან კიდევ ერთი სიახლე სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიების შექმნასა და განთავსებას უკავშირდება, როგორც მოსწავლეების ბუკებში, ასევე სამინისტროს ვებ-გვერდზე.

– თუმცა, სრულად ელექტრონულ სახელმძღვანელოებზე გადასვლა, მით უმეტეს, დაწყებით კლასებში, რეკომენდებული არ არის. თითოეულმა მასწავლებელმა ისე უნდა დაარეგულიროს ეს საკითხი, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ ჩანაცვლების საშუალება და არ მოუწიოთ ყოველდღე დატვირთული ჩანთით სიარული. ელექტრონული ვერსიები ნაბეჭდი სახელმძღვანელოების პარალელურად მომზადდება და 2018-2019 სასწავლო წლიდან აიტვირთება, – განაცხადა ლია გიგაურმა.

# არადეკლარირებული ცოცხალი კიბორჩხალა და შებოლილი თევზი ამოიღეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველოს საბაჟო საზღვარზე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის ფაქტზე, სომხეთის მოქალაქე ამხილეს.

როგორც საგამოძიებო სამსახურიდან იუწყებიან, გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნულ პირს, სამაცივრე სატვირთო მანქანით, საბაჟო-გამშვები პუნქტის „სადახლოს“ გავლით, საბაჟო კონტროლისგან მალულად, სომხეთიდან საქართველოში ტრანზიტულად შემოჰქონდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ცოცხალი კიბორჩხალა და შებოლილი თევზი.

„საბაჟოზე წარდგენილი დეკლარაციის თანახმად, სომხეთის მოქალაქეს სხვადასხვა სახის ხილის ტრანზიტი უნდა განეხორციელებინა, თუმცა საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ ხილის გარდა, სატვირთო მანქანით არადეკლარირებული ტვირთი – 10.339 კგ ცოცხალი კიბორჩხალა და 1.110 კგ შებოლილი თევზი გადაჰქონდა.

საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ ამოღებულია საქონელი, რომლის საბაჟო ღირებულება 35.310 ლარს შეადგენს. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 5-დან 7 წლამდე, – აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციაში.

# ამერიკული სანქციების გვერდის ავლით თურქმენული ნავთობი ირანში გადაიტვირთა

3 აგვისტოს ირანის პორტ მექაში რუსეთის დროშის ქვეშ მცურავმა ტანკერმა VFTanker-20-მა დაახლოებით 6.000 ტონა თურქმენული ნავთობი გადატვირთა.



აღნიშნული გადატვირთვა 3-4 აგვისტოს განხორციელდა ტერმინალში, რომლის ოპერირებასაც ირანის ნაციონალური ნავთობკომპანია ახორციელებს.

დიდი ხნის განმავლობაში ეს ნავთობის პირველი პარტიაა, რომელიც DRAGONOIL-მა, არაბეთის გაერთიანებული საამიროების ნაციონალურმა ნავთობკომპანია ENOC-მა გადაწყვიტა, დამოუკიდებლად მიაწოდოს ირანს, თავის შვილობილ სავაჭრო სტრუქტურაENOC Singapore-თან ერთობლივად.

დღემდე DRAGONOIL საექსპორტო მოცულობებს ტენდერებზე ყიდდა. ირანის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების გამო ნავთობის აღნიშნული მოცულობები 2011 წლიდან მხოლოდ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით, ბაქო-ბათუმის რკინიგზით ან მაჰაჩყალა-ნოვოროსიიკის ნავთობსადენით გაედინებოდა ევროპაში. ნავთობის ბაზრის მონაწილეთა გაოცება DRAGONOIL-ის და ENOC-ის მიერ ირანისთვის ნავთობის მიწოდების განახლებამ გამოიწვია.

მიუხედავად იმისა, რომ სანქციების ნაწილი ირანთან მიმართებაში გაუქმდა, ბევრი შეზღუდვა კვლავ ძალაში რჩება. ბევრი კომპანია ამჯობინებს, დაელოდოს შესაბამის რეკომენდაციებს აშშ-ის ხაზინის უცხოური აქტივების კონტროლის სამმართველოდან, ვიდრე ირანთან რაიმე სახის ბიზნესურთიერთობას დაიწყებს.

ისეთ ვითარებაში, როგორც DRAGONOIL ყველა ფინანსურ ოპერაციას დოლარებში ახორციელებს, მუშაობს გრძელვადიან პროექტებზე ამერიკელ დამკვეთებთან და ხელმძღვანელ თანამდებობებზე ჰყავს ამერიკის მოქალაქეები, გადაწყვეტილება ირანისთვის ნავთობის მიწოდების შესახებ მისი მხრიდან ნაჩქარევ და სარისკო ნაბიჯად აღიქმება.

ასევე, გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ ENOC, რომელიც გაერთიანებული საამიროების ეროვნული ნავთობკომპანიაა, აქტიურად ავითარებს ახალ ბიზნესს ირანთან, თანაც აშშ-ის სანქციების გვერდის ავლით. ეს იმ დროს, როდესაც საამიროები რეგიონში აშშ-ის ძირითადი მოკავშირეა. არ არის გამორიცხული, რომ ნავთობის ეს მიწოდება ირანში საერთოდ არ იყო დაგეგმილი. ვინაიდან თურქმენული ნავთობით დატვირთული ტანკერი ბაქოს პორტში 25 ივლისს შევიდა და პირველ აგვისტომდე იდგა რეიდზე. ბაქოს პორტში ტანკერს უარი ეთქვა ნავთობის დაცლაზე, რაც ტვირთის შესახებ დოკუმენტების არარსებობამ გამოიწვია. ამის შემდეგ კომპანია ENOC-მა გადაამისამართა ტანკერი ირანულ პორტ ნეკაში, სადაც, როგორც ჩანს, ნავთობი ტერმინალში დოკუმენტების წარდგენის გარეშე გადაიტვირთა.

ამჟამად ბაზრის მონაწილეები მოვლენების შემდგომ განვითარებას ელოდებიან. ან ეს იყო შემთხვევითი ნავთობის პარტია, რომელიც ჩაიტვირთა ირანში და ნამდვილად დოკუმენტაციასთან იყო პრობლემები, ან ეს არის დაგეგმილი პროგრამის პირველი ნაწილი, რომელიც თურქმენული ნავთობის ირანში გადატვირთვას გულისხმობს. ამ უკანასკნელ ვერსიას ამყარებს ENOC-ის გააქტიურება ტვირთების ბაზარზე და რუსეთის სანაოსნოს კუთვნილი რამდენიმე ტანკერის გადართვა კასპიის ზღვაში ალაჯას პორტის მიმართულებით.

# ივლისში ნავთობპროდუქტების იმპორტი გაიზარდა



ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის განცხადებით: „2017 წლის ივლისში საქართველოში ბენზინისა და დიზელის საწვავის იმპორტმა შეადგინა 119,4 ათასი ტონა, რაც 34,4 ათასი ტონით ანუ 40,5%-ით აღემატება ივნისის თვის მაჩვენებელს.

მათ შორის, 2017 წლის ივლისში ბენზინის საწვავის იმპორტმა შეადგინა 52,7 ათასი ტონა, ხოლო დიზელის საწვავის იმპორტმა – 66,7 ათასი ტონა.

საწვავის კატეგორიების მიხედვით 2017 წლის ივლისში საქართველოში ბენზინის საწვავის იმპორტმა შეადგინა: ც-91 რეგულარი მარკის ბენზინი – 37,4 ათასი ტონა ანუ 71%; ც-95 პრემიუმი მარკის ბენზინი – 14,7 ათასი ტონა ანუ 27,9%, ც-98 სუპერი მარკის ბენზინი – 0,6 ათასი ტონა ანუ 1,1%. ხოლო დიზელის საწვავის იმპორტმა შეადგინა: 50PPM (ევრო დიზელი) – 65,7 ათასი ტონა ანუ 98,5%,L-62 დიზელის საწვავის იმპორტი ივლისის თვეში არ განხორციელებულა, DT – 1,0 ათასი ტონა ანუ 1,5%.

ქვეყნების მიხედვით 2017 წლის ივლისში ბენზინისა და დიზელის საწვავის იმპორტის ყველაზე დიდი მოცულობა განხორციელდა რუმინეთიდან – 34,9 ათასი ტონა (მთელი იმპორტის 29,2%), აზერბაიჯანიდან 28,3 ათასი ტონა (23,7%), თურქმენეთიდან – 19,2 ათასი ტონა (16,1%), ბულგარეთიდან – 19,0 ათასი ტონა (15,9%), რუსეთიდან – 10,8 ათასი ტონა (9,0%), საბერძნეთიდან – 5,3 ათასი ტონა (4,4%), უკრაინიდან – 1,9 ათასი ტონა (1,6%) და სხვ.

აქვე უნდა შევეხოთ სხვა ნავთობპროდუქტების იმპორტის მონაცემებსაც:

2017 წლის ივლისში საქართველოში იმპორტირებულ იქნა 13,8 ათასი ტონა სანავთობო ბიტუმი, რაც 0,2 ათასი ტონით აღემატება ივნისის თვის მაჩვენებელს. აქედან უმეტესი წილი – 93,5 % განხორციელდა ირანის ისლამური რესპუბლიკიდან.

2017 წლის ივლისში საქართველოში საცხებ-საპოხი მასალების იმპორტმა შეადგინა 1,4 ათასი ტონა, რაც 0,1 ათასი ტონით ნაკლებია წინა თვის მაჩვენებელთან შედარებით.

2017 წლის ივლისში საქართველოში საავიაციო ნავთის იმპორტმა შეადგინა 14,9 ათასი ტონა, რაც 10,5 ათასი ტონით მეტია ივნისის თვის მაჩვენებელთან შედარებით.

# ქართული ღვინის დეგუსტაცია ამსტერდამში გაიმართა

ნიდერლანდების დედაქალაქ ამსტერდამში ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა, რომელსაც ადგილობრივი სომელიეები, ჟურნალისტები და ღვინის მწერლები დაესწრნენ.



როგორც ღვინის ეროვნული სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი ჩოლობარგიამ აღნიშნა, ღვინის მოხმარების საერთაშორისო ტენდენციებსა და სტატისტიკაზე დაყრდნობით, ჰოლანდიის ბაზარი ქართული ღვინის ექსპორტისთვის საკმაოდ პერსპექტიულია.

– დასავლეთ ევროპელი სომელიეები ზოგადად დაინტერესებულნი არიან ჩვენი ღვინოებით. მათ უნდა შეისწავლონ ჩვენი ქვეყანა, ღვინო და სამზარეულო, რათა კომპეტენტურად ურჩიონ ქართული ღვინო თავიანთ მომხმარებელს. ამსტერდამში გამართული დეგუსტაციის შედეგად გადაწყდა, რომ მიმდინარე წლის სექტემბერში საქართველოში ჩამოვა ჰოლანდიელ სომელიეთა ჯგუფი, რომლის წევრებიც ჰოლანდიის სომელიეთა გილდიამ შეარჩია. ჩვენ მოხარულები ვართ ჰოლანდიის სომელიეთა გილდიასთან თანამშრომლობით, რომელიც სერიოზულადაა დაინტერესებული ჩვენი ღვინოებით, – განაცხადა ირაკლი ჩოლობარგიამ.

მისი თქმით, სწორედ აღნიშნული ინტერესის გათვალისწინებით ღვინის ეროვნულმა სააგენტომ 2017 წელს ხელშეკრულება გააფორმა ღვინის იმპორტიორ კომპანიასთან „Saperavi Wine Agency“, რომელიც ჰოლანდიაში ქართული ღვინის იმპორტს ახორციელებს და ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებას მართავს.

ამსტერდამში გამართულ დეგუსტაციაზე წარმოდგენილი იყო შემდეგი ქართული კომპანიების 12 სახეობის ღვინოები: „გოცას ღვინოები„, „თელავის ღვინის მარანი„, „შუხმან ვაინს ჯორჯია“, „ბაგრატიონი 1882“, „კონჭო და კომპანია“ და „თბილღვინო“. სომელიეებმა განიხილეს სხვადასხვა ქართული ღვინოების შეხამება სხვადასხვა კერძთან. გამარჯვებული ღვინისა და კერძის შეხამება გახდა – გარეული ბატის კერძი და 2014 წლის „ქვევრის საფერავი სატრაპეზო“ (თელავის ღვინის მარანი).

# რა ეტაპზეა საქართველოში ტურიზმის განვითარება და რა გამოწვევები გვაქვს?

ბოლო წლებში საქართველოში ტურიზმის სფეროს განვითარების სწრაფი ტემპი ადვილი შესამჩნევია. საერთაშორისო დონეზე საქართველოს მარკეტინგულმა კამპანიებმა წარმატებით იმუშავა, რაც ტურისტების რაოდენობაზეც აისახება. სფეროს განვითარებასთან ერთად ვითარდება ქართული კომპანიები, აუმჯობესებენ მომსახურებისა და სერვისის ხარისხის, იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს და ჯანსაღი კონკურენციის ფონზე მუდმივად ცდილობენ ტენდენციების შესაბამისად განვითარებას.

კონკრეტულად რა ეტაპზეა საქართველოში ტურიზმის განვითარება, რა გამოწვევები გვაქვს საქართველოში, ვაკმაყოფილებთ თუ არა საერთაშორისო სტანდარტებს, ტურიზმის სფეროს ექსპერტს, „ინტერკო თრეველის“ დამფუძნებელსა და დირექტორს **ნინო მახვილაძეს** ვესაუბრეთ.

***– 26 წელია ტურიზმის ბიზნესში მოღვაწეობთ, საინტერესოა თქვენი გამოცდილების ფონზე, ტურიზმის სფეროს ანალიზი, რა ეტაპები გაიარეთ და რა ეტაპზე ვართ ახლა?***

– 26 წლის წინ საქართველოში არავის ჰქონდა ტურიზმის სფეროს ცოდნა და გამოცდილება, მისი თანამედროვე გაგებით. სფეროს განვითარების გზა დასაწყისში გაუკვალავი იყო და როგორც ინდუსტრიის წარმომადგენლებმა, ასევე მომხმარებლებმა ეტაპობრივად მრავალი სირთულე დავძლიეთ. სამოგზაურო პროდუქტებისა და სერვისების მომწოდებლები უფრო მოქნილი გავხდით, რაშიც ხსენებული გამოცდილება და თანამედროვე ტექნოლოგიები და განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა გვეხმარება. რაც შეეხება საქართველოში სტუმრების მიღებას, ინტენსიურმა საერთაშორისო მარკეტინგმა, უდიდესი გავლენა იქონია საქართველოს პოზიციონირებაზე მსოფლიო ტურისტულ რუკაზე, რისი შედეგიცაა ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობის მსურველთა სიმრავლე, თუმცა ამ განვითარების ფონზე, სფეროს მთავარ გამოწვევად რჩება უსაფრთხოება, ამ ფაქტორის გარეშე რთულია პროდუქტის და მომსახურების მიწოდება. ასევე, გამოწვევაა მომსახურების სფეროში მოღვაწე კომპანიებისა და ინდივიდების კვალიფიკაცია და ლიცენზირება და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა.

***– სფეროს განვითარებასთან ერთად იცვლება მოთხოვნებიც და დამოკიდებულებებიც. როგორი ტურისტები არიან ქართველები? დასვენების როგორი ტიპია მათთვის მომხიბვლელი?***

– ქართველები საკმაოდ პრეტენზიული მოგზაურები არიან. ცოტა ვცოდავთ ღირებულებისა და ხარისხის თანაფარდობის შეფასებაში, ვგულისხმობ ფორმულას, მაქსიმუმი მინიმალურ ფასად. რაც შეეხება საყვარელ მიმართულებებს, დასვენება და გართობა ჭარბობს, ვიდრე კულტურული მოგზაურობა. თუმცა, ხშირად ითხოვენ კომბინირებულ ტურებს. ცხადია, პოპულარობას არ კარგავს ევროპულ ქვეყნებში მოგზაურობა, ეს ბუნებრივიცაა, რადგან ჩვენ ყოველთვის გვქონდა კულტურული კავშირები ევროპის ქვეყნებთან. საზღვაო კურორტების მოყვარულები კვლავ მოგზაურობენ ეგვიპტეში, სადაც მზე და სითბო მთელი წლის განმავლობაში ანებივრებს დამსვენებელს და ასევე უხვადაა კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლები. ბოლო პერიოდში გაიზარდა ინტერესი აზიის მიმართულებით, განსაკუთრებით ინდოეთის, ტაილანდის, ინდონეზიის, ვიეტნამის და ა.შ.



***– საქართველოში ჩამოსული უცხოელი ტურისტებზე რას გვეტყვით, გაზრდილია თუ არა მათი ინტერესი საქართველოს მიმართ?***

– საქართველოში მოგზაურობის მიმართ ინტერესი ნამდვილად გაზრდილია. ბუნებრივი რესურსები და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა, ასევე თანამედროვე გართობის საშუალებები, სეზონური კურორტების მრავალფეროვნება, თავისთავად დიდი საგანძურია, რაც იზიდავს უცხოელ მოგზაურებს. თუმცა, ინფრასტრუქტურულად ჯერ კიდევ ბევრია გასავითარებელი, ასევე მომსახურების ნაწილში: გიდების, მძღოლების, სასტუმროებისა და კვების ობიექტების პერსონალის გადამზადების თვალსაზრისით.

***– ეარ ქაიროს შემდეგ ქუვეითის სახელმწიფო ავიახაზები შემოიყვანეთ საქართველოს ბაზარზე, რა როლი აქვს ავიაკომპანიების შემოსვლას და რეგულარულ ფრენებს ქართული ეკონომიკის და ტურიზმის სფეროს განვითარებისთვის?***

– საქართველო, როგორც კავკასიის ბუნებრივი და კულტურული ცენტრი, ცხადია, სერიოზული საავიაციო ჰაბი შეიძლება გახდეს. ცხადია, მეტი მოგზაური მეტ მნიშვნელობას მატებს ჩვენს ქვეყანას და ეს აისახება როგორც ტურიზმის, ეკონომიკისა და ბევრ სხვა სფეროზე. ზრდადი ავიამიმოსვლა დადებითად აისახება ჩვენი ქვეყნის, როგორც საიმედო ბიზნეს ლოკაციის იმიჯზე.

***– თქვენი, როგორც ექსპერტის აზრით, რა არის ის მთავარი მიმართულება, რაც საქართველოში ტურიზმის განვითარებას განაპირობებს. მაგალითისთვის, მნიშვნელოვანია თუ არა მსოფლიო ვარსკვლავების ჩამოყვანა, რამდენად ადეკვატურია დანახარჯები და მიღებული შედეგები?***

– ცხადია, საერთაშორისოდ ცნობილი არტისტების და სპორტსმენების ჩამოყვანა დადებითი ფაქტორია მარკეტინგული თვალსაზრისით. თუმცა, ვიტყოდი, რომ ეს მხოლოდ დამხმარე ფაქტორია. მსოფლიოში უკვე იციან საქართველოს შესახებ, ჩვენი მთის, კულტურის, გასტრონომიის, პოლიფონიის, ღვინის სამშობლოს შესახებ, თუმცა, ვთვლი, რომ ქვეყნის და მისი კონკრეტული კუთხეების პოპულარიზებისთვის უფრო ინტენსიური სატელევიზიო, ონლაინ და სოციალური მედიით ფორსირებაა საჭირო. ჩემი აზრით, ეს მიდგომა გაცილებით ზრდის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მასშტაბებს. ამიტომ ამ მიმართულებით უფრო მეტი ინვესტიცია უნდა ჩაიდოს, ვიდრე ხსენებულ ფართომასშტაბიან ღონისძიებებში. ამასთან, აუცილებელია, ქვეყნის დადებითად პოპულარიზაციაში თავისი როლი შეასრულოს თითოეულმა მოქალაქემ. განსაკუთრებით ჩვენ, ვისაც გვაქვს კავშირები უცხო ქვეყნებში, ასევე ადგილობრივად, იმისათვის, რომ სათანადოდ წარმოვაჩინოთ ჩვენი სტუმართმოყვარეობა და კეთილგანწყობა სტუმრების მიმართ.

## ავტობანზე მომხდარ ავარიას 21 წლის მამაკაცი ემსხვერპლა




გორთან, ავტობანზე მომხდარ ავარიას 21 წლის მამაკაცი ემსხვერპლა. არსებული ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცს კუთვნილი ავტომობილი ავტობანზე ავარიულ ზოლში ჰყავდა გადაყვანილი და საბურავს ცვლიდა, როდესაც მას მიკროავტობუსი დაეჯახა.

ავარიის შედეგად სხეულის დაზიანებები მიიღო ორმა პირმა, რომლებსაც შესაბამის სამედიცინო დახმარება უტარდებათ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შს სამინისტროში განუცხადეს, დაკავებულია ავარიაში მონაწილე მძღოლი, გამოძიება კი სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

## ტყიბული-ქუთაისის ავტომაგისტრალზე, ავარიის შედეგად 60 წლამდე მამაკაცი გარდაიცვალა



ტყიბული-ქუთაისის ცენტრალურ ავტომაგისტრალზე, სოფელ საწირის მონაკვეთზე ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა.

შეჯახების შედეგად, ერთი ადამიანი, 60 წლამდე მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა.

ერთ-ერთი არასრულწლოვანი კი მსუბუქი დაზიანებებით ტყიბულის ჰოსპიტალში გადაიყვანეს, სადაც სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდა.

გარდაცვლილის ცხედარი ქუთაისის სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროშია გადასვენებული.

შს სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება მიმდინარეობს 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას.

## შსს-მ სამეგრელოში ნარკოდანაშაული გახსნა



შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად, 1970 წელს დაბადებული ნ.ყ. ნარკოდანაშაულისთვის აბაშის რაიონის სოფელ მარანში დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შს სამინისტროდან აცნობეს, სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 90 აბი „სუბოქსინი“ ამოიღეს. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

## ხელვაჩაურში მომხდარი მკვლელობის საქმეზე ერთი პირი დააკავეს



ხელვაჩაურში, სოფელ სამებაში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით ერთი პირი დააკავეს. როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში „ინტერპრესნიუსს“ განუცხადეს, ეჭვმიტანილის დაკავება წუხელ, გვიან ღამით მოხდა.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სამებაში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 30 წლამდე ასაკის მამაკაცი მოკლეს. შემთხვევა 5 აგვისტოს მოხდა.

საქმეზე გამოძიება სსკ-ის 108-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

## საქართველოს პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე ძებნილი პირი უკრაინის ტერიტორიაზე დააკავეს



საქართველოს მთავარი პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, 2017 წლის 4 აგვისტოს, საქართველოში ექსტრადიციის მიზნით, უკრაინის ტერიტორიაზე საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი, 1980 წლის 28 იანვარს დაბადებული კ.კ. დააკავეს. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს მთავარი პროკურატურა ავრცელებს.

– უკრაინის კომპეტენტური სასამართლოს 2017 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ძებნილი პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შერჩეული იქნა საექსტრადიციო პატიმრობა 40 დღის ვადით. კ.კ. საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ იძებნება თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 27 იანვრისა და 18 მარტის განაჩენთა აღსრულების მიზნით. 2014 წლის 27 იანვრის განაჩენით იგი დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენის გამო. მას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით.

2014 წლის 18 მარტის განაჩენით, კ.კ. ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2 ეპიზოდი), 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2 ეპიზოდი) და 1441 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით (2 ეპიზოდი) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენის გამო. ამავე განაჩენით, კ.კ.-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით, – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

მათივე ცნობით, ამჟამად კანონით გათვალისწინებული საექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.

## ექიმის დასკვნით, მერაბ ღოღობერიძეს ოპერაცია არ სჭირდება



ბათუმის მოვლენებზე სისხლის სამართლის ბრალდებით დაკავებულმა მერაბ ღოღობერიძემ ჯანმრთელობის ცენტრი „მედინა“ ცოტა ხნის წინ დატოვა. როგორც მისმა ადვოკატმა პაატა შავაძემ „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა, ღოღობერიძეს უროლოგიური გამოკვლევა ჩაუტარდა და გაირკვა, რომ მას ოპერაცია არ ესაჭიროება.

ბრალდებულის დამცველი სამედიცინო დასკვნას არ ენდობა და პროკურატურასა და სახელმწიფო სამედიცინო რეგულირების სააგენტოს რეაგირებისკენ მოუწოდებს. უროლოგის კონსულტაციის შედეგად დაიდო დასკვნა, რომ მერაბ ღოღობერიძეს ოპერაციული ჩარევა არ ესაჭიროება და მას მკურნალობა ესაჭიროება.

– მერაბ ღოღობერიძის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, სასამართლოში 10 ცნობა მივიტანეთ და ათივეში ცალსახად მითითებულია, რომ მას ოპერაცია ესაჭიროება. ეს მოსამართლემაც განმარტა და ეს უროლოგი ვინ გახდა?! გამოდის ახლა, რომ ან ის ათი ცნობა არის ყალბი ან ეს უროლოგი პასუხისგებაშია მისაცემი. ამ საქმეში სახელმწიფო სამედიცინო რეგულირების სააგენტო და პროკურატურა უნდა ჩაერთოს. გაარკვიონ სასწრაფოდ, ვინ არის აქ მართალი. ჯანმრთელობის ცენტრ „მედინას“ უროლოგის დასკვნას ეჭვქვეშ ვაყენებ, – აცხადებს პაატა შავაძე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოში მერაბ ღოღობერიძისა და ირაკლი ჩხვირკიას სასამართლო პროცესი გაიმართა. სხდომაზე ბრალდებული ღოღობერიძე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ჯანმრთელობის ცენტრ „მედინაში“ გადაიყვანა. როგორც მერაბ ღოღობერიძემ განაცხადა, მას უროლოგიური პრობლემები აქვს და დაუყოვნებლივ ოპერაციას საჭიროებს. აღსანიშნავია, რომ მერაბ ღოღობერიძის სასამართლო პროცესზე არ დასწრების გამო, რამდენიმე პროცესი არ ჩატარდა.

## ნარკოდანაშაულისთვის ირანის მოქალაქე დააკავეს



სამართალდამცველებმა ნარკოდანაშაულის ბრალდებით ირანის მოქალაქე დააკავეს. როგორც „ინტერპრესნიუსისთვის“ გახდა ცნობილი, ირანის მოქალაქე „ჯემ ფესტის“ ტერიტორიაზეა დაკავებული.

შსს-ს ინფორმაციით, 1981 წელს დაბადებული ს.რ. ნარკოდანაშაულისთვის ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურში, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა აიყვანეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი და დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ნარკოტიკული საშუალება „ლიზერგიდის“ შემცველი 6 ფირფიტა, 3 აბი „მეტადონი“, „მდმა“-ს შემცველი 2 ფირფიტა და ფირფიტის 4 ნაჭერი, 18 შეკვრად დაფასოებული მარიხუანა და 3 შეკვრად დაფასოებული გამომშრალი მარიხუანა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად, ს.რ.-ს მარიხუანის, „მდმა“-ს და მეტადონის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, მე-3 და მე-6 ნაწილების „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

შეგახსენებთ, რომ დაუზუსტებელი სუბსტანციის და ნივთიერების ტოქსიკური ეფექტის დიაგნოზით, ბოლო დღეების განმავლობაში ზუგდიდის საავადმყოფოში რამდენიმე ადამიანი „ჯემ ფესტიდან“ გადაიყვანეს, მათგან ერთ-ერთის, 22 წლის გოგონას გადარჩენა ვერ მოხერხდა.

## საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს 11 წლით პატიმრობა ემუქრება



– საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს სისხლის სამართლის ოთხ საქმეზე 11 წლით პატიმრობა ემუქრება, – აღნიშნულის შესახებ უკრაინულ გამოცემა „ობოზრევატელს“ საქართველოს მთავარი პროკურატურის პროკურორმა ნათია სონღულაშვილმა განუცხადა.

– ამჟამად საქართველოს მთავარი პროკურატურა მიხეილ სააკაშვილთან მიმართებაში სისხლის სამართლის ოთხ საქმეს აწარმოებს, რომელზე დასრულებულია გამოძიება და სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. ყველა ამ საქმეს თბილისის საქალაქო სასამართლო განიხილავს“, – აღნიშნა ნათია სონღულაშვილმა.

მისი განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მიხეილ სააკაშვილს დამნაშავედ ცნობს, მას 11 წლით პატიმრობა ემუქრება. „მას შემდეგ, რაც 2012 წელს საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა, პარლამენტმა კანონმდებლობაში ცვლილება შეიტანა, რომლის თანახმად, მიუხედავად ბრალდების რაოდენობისა, ყველაზე მძიმე მუხლი სხვა მუხლებს შთანთქავს. კანონმდებლობის ლიბერალიზაციის შემდეგ, სასჯელის დაჯამება არ ხდება. ამის გამო, თუ პირს 3-4 ბრალდება აქვს წაყენებული, ის მხოლოდ ერთ სასჯელს მოიხდის. შესაბამისად, მიხეილ სააკაშვილს 11 წლით პატიმრობა ემუქრება თუ სასამართლო მას დამნაშავედ ცნობს, – განაცხადა ნათია სონღულაშვილმა.

## თერჯოლაში ავტოსაგზაო შემთხვევას ორი არასრულწლოვანი ემსხვერპლა




თერჯოლის რაიონის სოფელ ჩხარში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას ორი ადამიანი ემსხვერპლა. გარდაცვლილები, სავარაუდოდ, არასრულწლოვნები არიან. არსებული ინფორმაციით, მსუბუქი ავტომანქანა ხეს შეეჯახა.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ასევე დაშავებულია ერთი ადამიანი.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

## აუდიტის სამსახური იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფინანსებს შეისწავლის



გენერალური აუდიტორის მოვალეობის შემსრულებლის, ნინო ლომჯარიას განცხადებით, აუდიტის სამსახური სექტემბრიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფინანსურ საქმიანობას შეისწავლის.

ლომჯარიას განმარტებით, აუდიტის სამსახურმა წლიური გეგმა დაამტკიცა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა, რომ სექტემბერში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2015-2016 წლების მუშაობის ფინანსური აუდიტი ჩატარდება.

მისივე თქმით, მათ შორის შეისწავლიან საბჭოს მიერ ავტომანქანების შეძენის ფაქტებსაც.

## დიდ დიღომში 2 ჰექტრამდე ტერიტორია დაიწვა



„გუდვილის“ მიმდებარედ ხანძარი ლოკალიზებულია, – ამის შესახებ თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ, დავით გელაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა, ხანძრის გამომწვევი მიზეზები და ზარალის ოდენობა კი, მოგვიანებით დადგინდება.

– ხანძრის ფართობიდან გამომდინარე იქმნებოდა საფრთხე, რომ აღნიშნული ცეცხლი გავრცელებულიყო „გუდვილის“ შენობასა და მიმდებარედ არსებულ ბენზინგასამართ სადგურზე, მაგრამ მეხანძრეების მყისიერი რეაგირებიდან გამომდინარე, აღნიშნული საშიშროება აღმოიფხვრა. დაიწვა 2 ჰექტრამდე ტერიტორია, სადაც განთავსებული იყო ძველი ავეჯი და ძველი საბურავები, – განაცხადა დავით გელაშვილმა.

მისივე თქმით, ხანძრის ჩაქრობას 12 ერთეული სამაშველო ბრიგადა ცდილობდა.

# მანილაში ლავროვ-ტილერსონის შეხვედრა შედგა



აშშ-ის მიერ რუსეთისათვის დამატებითი სანქციების დაწესების შემდეგ ლავროვ– ტილერსონის შეხვედრას ბევრი ეჭვქვეშ აყენებდა. მართალია, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ რუს კოლეგასთან დიალოგი აუცილებლობად მიაჩნია, მაგრამ კრემლიდან სხვაგვარი სიგნალები მოდიოდა.

– რუსეთის მიმართ დამატებითი სანქციების შემოღება მოსკოვ-ვაშინგტონს შორის შეთანხმებას შეუძლებელს ხდის. დიალოგსაც უბრალოდ აზრი არა აქვს, – განაცხადა რუსეთის პრემიერმა დიმიტრი მედვედევმა.

მიუხედავად ამისა, ფილიპინების დედაქალაქში ლავროვ-ტილერსონის შეხვედრა მაინც შედგა. ჟურნალისტებთან საუბრისას ლავროვმა განაცხადა:

– რატომ შევხვდი ტილერსონს? იმიტომ, რომ დიალოგს ალტერნატივა არ გააჩნია!

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი და აშშ-ის სახელმწიფო მდივანი დახურულ კარს მიღმა განმარტოვდნენ. მოგვიანებით ლავროვმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საუბრის ძირითადი თემა სანქციების შემდეგ რუსეთის შესაძლო ნაბიჯები, აგრეთვე უკრაინაში შექმნილი მდგომარეობა იყო. ლავროვმა ძველი ჰანგები გაიმეორა: დონბასში მიმდინარეობს არა რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი, არამედ სამოქალაქო ომი. სამრეწველო რეგიონი აუჯანყდა ცენტრს, ანუ კიევს, რომელიც მას თავს ახვევს მისთვის უცხო, მიუღებელ ფასეულობებს.

– რომ არა უკრაინაში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალება და ხელისუფლებაში სისხლიანი ხუნტის მოსვლა, დონბასში არავითარი ომი არ იქნებოდა, – თქვა ლავროვმა.

ტილერსონმა პასუხად მოიყვანა კონკრეტული ციფრები, თუ რამდენი რუსი ჯარისკაცი და ოფიცერია დონბასში, რა რაოდენობითაა იქ დისლოცირებული უახლესი რუსული სამხედრო ტექნიკა. ტილერსონმა ხაზი გაუსვა, რომ მინსკის შეთანხმებების თავისუფლად ინტერპრეტირება დაუშვებელია. რუსეთმა უნდა გაიყვანოს ჯარი, საზღვრის კონტროლიც უკრაინას გადაეცეს, განხორციელდეს განაღმვა და ა.შ.

– ვითარებას განმუხტავს არა უბრალოდ არჩევნები, არამედ თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნები! საამისოდ კი შესაბამისი პირობები უნდა შეიქმნას, რაც სადღეისოდ არ არსებობს, – აცხადებს ტილერსონი.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ მალე მოსკოვს დონბასში აშშ-ის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელი კურტ ვოლკერი ეწვევა. დაგეგმილია შეხვედრა დონბასში რუსეთის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელ ვლადისლავ სურკოვთან და სხვა ოფიციალურ პირებთან.

– ჯერჯერობით ჩვენი პოზიციები ერთმანეთისგან დიამეტრალურად განსხვავდებიან. უნდა მოხერხდეს მათი შეჯერება, რისთვისაც ერთადერთი საშუალება დიალოგია, – ამბობს ტილერსონი.

## მაიკ პენსი: „2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭის ყრას არ ვაპირებ“




გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ გამოაქვეყნა სტატია, სადაც ნათქვამია, რომ რესპუბლიკური პარტიის ერთმა ჯგუფმა ჩრდილოვანი საარჩევნო შტაბი შექმნა. მიზანი 2020 წლის არჩევნებში ამჟამინდელ ვიცე-პერეზიდენტ პენსის ხელისუფლებაში მოყვანაა.

თავად პენსმა ეს ინფორმაცია უარყო.

– არავითარი ჩრდილოვანი შტაბი მე არ შემიქმნია! 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში კი კენჭის ყრას არ ვაპირებ, – თქვა პენსმა.

## ამერიკელი კონგრესმენები სპეცპროკურორ მიულერს იცავენ



სპეცპროკურორმა მიულერმა თავის გარშემო ნაფიც მსაჯულთა ჟიური შემოიკრიბა. ვარაუდობენ, რომ მიულერი ბრალდების წაყენებისათვის ემზადება. უკვე დაიკითხნენ ტრამპის უახლოესი გარემოცვისა და თავად პრეზიდენტის ოჯახის წარმომადგენლები.

– მიულერის მოქმედება არაკომპეტენტურია, – განაცხადა ტრამპმა.

აშშ-ის სენატში შეტანილ იქნა კანონპროექტი, რომელიც პრეზიდენტის მიერ სპეცპროკურორის დათხოვნას გაართულებს. კონგრესმენები შიშობენ, რომ ტრამპს შეუძლია მიულერი დაითხოვოს.

## ჩრდილოეთ კორეამ სამხრეთ კორეის წინადადება უარყო




ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლი იონ ჰონმა ოფიციალურად უარყო სამხრეთ კორეის მთავრობის წინადადება თანამშრომლობის შესახებ. სეულმა გამოთქვა წინადადება, რათა ჩრდილოეთ კორეასთან მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება დადებულიყო, რაც ორი კორეის გაერთიანების საფუძველი გახდებოდა.

– კორეა გაერთიანდება, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა სეულზე წითელი დროშა აღიმართება. რაც შეეხება სამხრეთ კორეასთან თანამშრომლობას, ჩვენ ეს არ გვჭირდება, – განაცხადა ლი იონ ჰონმა.

## ვენესუელაში რეპრესიებისთვის ემზადებიან



ვენესუელის სოციალისტური პარტიის ლიდერმა კობელამ, რომელიც მხარს პრეზიდენტ მადუროს უჭერს, განაცხადა, რომ სამხედრო საწყობებში დივერსიის მცდელობას ჰქონდა ადგილი.

– ჩვენი სამხედროების პროფესიონალური მოქმედებების შედეგად დივერსია აღკვეთილ იქნა, – ამბობს კობელა.

იმავდროულად ვენესუელაში გავრცელდა ვიდეო, სადაც სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მამაკაცი აცხადებს:

– ეს არ არის პუტჩი! ესაა საერთო-სახალხო აჯანყება!

პრეზიდენტმა მადურომ ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ სამხედრო გადატრიალების მცდელობა აღკვეთილია, შეთქმულთა გარკვეული ჯგუფი კი უკვე დააპატიმრეს.

– დაისჯება ყველა, ვინც გადატრიალებას ამზადებდა! – თქვა მადურომ.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ყოველივე მადუროს ხელისუფლების მიერ მოწყობილი პროვოკაციაა და ხელისუფლება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისათვის ემზადება. ამას კი ოპოზიციონერთა მასობრივი დაპატიმრებები მოყვება.

## დანით შეიარაღებული მამაკაცი ეიფელის კოშკში შეღწევას ცდილობდა




პოლიციამ დააკავა მამაკაცი, რომელიც ეიფელის კოშკში შეღწევას ცდილობდა. მას ჯიბეში დანა აღმოუჩინეს. დადგინდა, რომ მამაკაცი ეროვნებით ფრანგია. ის 1995 წელსაა დაბადებული. დაკითხვაზე მან განაცხადა, რომ ექსტრემისტული ორგანიზაცია „ერაყისა და ლევცანტის ისლამურ სახელმწიფოს“ წევრია.

– მე აქტიური მოქმედებებისათვის ვემზადებოდი, – ამბობს იგი.

დადგინდა, რომ ხსენებული პიროვნება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სამკურნალო კურსს გადიოდა. მან კლინიკა ერთი კვირის წინ დატოვა.

## პეკინმა ჩრდილოეთ კორეას რაკეტების გამოცდის შეწყვეტისკენ მოუწოდა



გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ჩრდილოეთ კორეისათვის დამატებითი სანქციების დაწესებას. პრეზიდენტმა ტრამპმა ამის გამო რუსეთსა და ჩინეთს მადლობა გადაუხადა.

– ეს უდავოდ კონსტრუქციული ნაბიჯია! მადლობის მეტი რა გვეთქმის! – თქვა ტრამპმა.

ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ვან უ თავის ჩრდილო კორეელ კოლეგას ლი იონ ჰონს შეხვდა. ვან უ-მ განაცხადა, რომ ფხენიანმა რაკეტების გამოცდა აუცილებლად უნდა შეწყვიტოს.

– წინააღმდეგ შემთხვევაში საერთაშორისო თანამეგობრობის რისხვას ვერ გაექცევით და ჩვენ ვერ დაგიცავთ, – თქვა ვან უ-მ.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.**

**ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.**

**მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

### მკურნალობა

- ნანა ქიბროწაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის.: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.
- სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები. გარანტიით! ტელ: 555-72-64-98.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ზაზა ფაჩულია: „ამერიკაში მიზანი შევასრულე, ახლა საქართველოს ჯერია“

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების კაპიტანი და გოლდენ სტეიტ უორიორსის ცენტრი ზაზა ფაჩულია საქართველოში ჩამოვიდა და ნბა-ს საჩემპიონო თასიც ჩამოიტანა.

საქართველოს ნაკრების კაპიტანს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გულშემატკივრები დახვდნენ და გამარჯვება მიულოცეს. ზაზამ მათ ავტოგრაფებიც მისცა, ხოლო ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართა.

**ზაზა ფაჩულია:**

– ბედნიერი ვარ თქვენ გვერდით ყოფნით. ამერიკაში თასის მოგებით ძალიან გავიხარე, თანაგუნდელებთან ერთადაც ლამაზად აღვნიშნე, მაგრამ მოუთმენლად ველოდი, როდის ჩამოვიდოდი საქართველოში თასთან ერთად. თასის საქართველოში მოგზაურობას პროფესიონალთა ჯგუფი გააშუქებს. გოლდენ სტეიტ უორიორსმა შტატებიდან 3 ადამიანი გამომაყოლა, ერთს თასი აქვს ჩაბარებული, მეორე ოპერატორია, მესამეს კი სოციალურ ქსელში აქტიურობა აქვს ჩაბარებული, ლამის ყველა მოვლენას პირდაპირ რეჟიმში აშუქებს და ამასთან, მჭიდრო კონტაქტი გვაქვს საქვეყნოდ ცნობილ ესპიენთან. ამ ტელეკომპანიის მეშვეობით, ტურნეს შესახებ უამრავი ადამიანი საქმის კურსში იქნება. ისინი კიდევ უფრო ბევრს გაიგებენ საქართველოზე და დარწმუნდებიან, რომ ის ყველაფერი, რის თაობაზეც მთელი წლის განმავლობაში ვესაუბრებოდი, სიმართლეა. დამერწმუნეთ, ჩვენი ქვეყნისთვის ეს უდიდესი რეკლამაა.

***– ნბა-ს ჩემპიონობის შემდეგ საქართველოს ნაკრებთან ერთად რა მიზნებს ისახავ?***

– მიზანი ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს. ამერიკაში გადასვლის შემდეგ მქონდა მიზანი, მოვხვედრილიყავი ძლიერ გუნდში. გოლდენ სტეიტში რომ აღმოვჩნდი, ჩემპიონობა დავისახე მიზნად. დიდი ბედნიერებაა, ასეთ მიზანს რომ მიაღწევ და ესოდენ ლამაზ თასს ასწევ. როგორც არ უნდა შევხედოთ, საკლუბო დონეზე ამაზე დიდი წარმატება არ არსებობს. ნბა პლანეტის უძლიერეს ლიგადაა აღიარებული და როდესაც იქ პირველი ხდები, ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. 14 წლის წინანდელთან შედარებით, როდესაც ლიგის კარი შევაღე, ბევრი რამაა შეცვლილი. სოციალური ქსელის პოპულარიზაციის მერე, შტატებში ცხოვრება ბევრად შეცვალა და მოვლენების აღქმაც უფრო სწრაფად და ხარისხიანად ხდება.

ცხადია, სანაკრებო დონეზე ასეთი რანგის შედეგების დაფიქსირება გაცილებით რთული იქნება, თუმცა, ნამდვილად იმედიანად ვარ განწყობილი. ეროვნულმა გუნდმა შეკრების ნაწილი გაიარა და წინ კიდევ გვაქვს მოსამზადებელი პერიოდი. საკმარისად გავიზარდეთ საიმისოდ, რომ ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა იყოს ჩვენი მაქსიმუმი. ზედიზედ სამჯერ ვითამაშეთ ევრობასკეტზე, ორჯერ ჯგუფური ეტაპის ბარიერი დავძლიეთ, 2015 წლის ევროპაზე მერვედფინალში ვიასპარეზეთ... ასე რომ, ამჯერად მეოთხედფინალში მოხვედრასა და კიდევ უფრო წინ წასვლაზე უნდა ვიფიქროთ. რატომ არ უნდა ვიბრძოლოთ რომელიმე სინჯის მედლისთვის? თუ არ დაიჯერებ, რომ ეს შეგიძლია, მიზანს ვერასოდეს მიაღწევ. საქართველოს ნაკრებს ნებისმიერი ტოპ-გუნდის დამარცხება შეუძლია, რაშიც ამ უქმეებზეც დავრწმუნდით, ჯერ ლატვიას აჯობა, შემდეგ ლიტვას. დაგვაკლდება ვიქტორ სანიკიძე. კი ამბობენ, შეუცვლელი არავინააო, მეც ვეთანხმები, მაგრამ ვიქტორის შეცვლა ძალიან რთული იქნება. ვუსურვებ მალე გამოჯანმრთელებას.




***– 30 წელს გადაცილებული კალათბურთელები ხშირ შემთხვევაში შემოსავლიანი კონტრაქტების გაფორმებაზე ზრუნავენ. შარშან გქონდა გაცილებით სარფიანი შემოთავაზებები, მაგრამ გოლდენ სტეიტში გადასვლა გადაწყვიტე.***

– თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ ცხოვრებაში ფული მთავარი ნამდვილად არაა. მართლაც გაცილებით სარფიანი შემოთავაზებები მქონდა, მაგრამ მხოლოდ ფინანსური ფაქტორის მიხედვით ნამდვილად ვერ ვიმოქმედებდი. დღეს, ჩემპიონობის მერე უბედნიერესი ვარ და ნათელია, რომ ამგვარ სიხარულს ვერანაირი ფული ვერ მომიტანდა. ამას ფასი არა აქვს, ვერ იყიდი. ვამაყობ, რომ 2016 წლის ზაფხულში გოლდენ სტეიტში გადასვლის გადაწყვეტილება მივიღე. როდესაც კონტრაქტს აფორმებ, უამრავ ნიუანსზე ფიქრობ. შეიძლება იმაზეც დაფიქრდე, რომ მსოფლიოში ძალიან, ძალიან ბევრი ადამიანია ჩემზე ნაკლები ხელფასით. ღმერთის მადლობელი ვარ, რომ ასეთ ლიგაში თამაშის საშუალება მაქვს. ხოლო თუ ის ფული, რამდენსაც გოლდენ სტეიტში ვიღებ, ვინმეს არასაკმარისად მოეჩვენება, მაშინ ასჯერ მეტიც რომ აიღოს, არც ის ეყოფა.

***– წლეულს თუ იყო საინტერესო შემოთავაზებები და თუ დაფიქრდი უორიორსიდან წასვლაზე?***

– როდესაც სატრანსფერო ბაზარი იხსნება, სხვა გუნდებსაც უნდა მისცე შანსი. გოლდენ სტეიტში თავს მშვენივრად ვგრძნობდი, მსოფლიოს მასშტაბის ვარსკვლავებთან, უდიდესი ნიჭის ადამიანებთან ვთამაშობდი. ნამდვილად არ მინდოდა ისეთი გუნდი გამოჩენილიყო, გაცილებით საინტერესო კონტრაქტი რომ შემოეთავაზებინა. მინდოდა ოკლენდური თავგადასავალი 2017-18 წლებშიც გაგრძელებულიყო. გამოგიტყდებით, ვფიქრობდი, ნეტავ, უორიორსს ისეთი სარფიანი წინადადებით არ მიმართონ, ჩემი გაშვება განიზრახონ-თქო. ეს ხუმრობით, ისე კი, თავიდანვე ყველაფერი კარგად წარიმართა. სატრანსფერო ბაზარი სულ ახალი გახსნილი იყო, როდესაც უორიორსმა ჩემს აგენტებს აგრძნობინა, რომ მომავალ სეზონშიც გუნდის უმთავრეს ცენტრად განმიხილავდა. პირდაპირ ასე გადმომცეს, შენთვის ადგილი შენახული გვაქვს და პასუხს ველითო. როდესაც სატრანსფერო ბაზარი გაიხსნა, უორიორსის ხელმძღვანელობამ იმავე დღეს დამირეკა და მითხრა: შენი ადგილი შენარჩუნებულია, თუ სურვილი გექნება, ხელახალი კონტრაქტი გავაფორმოთო. იოლი წარმოსადგენია, რამდენს ნიშნავს, როდესაც ასეთ ნდობას გრძნობ, ასეთი დონის გუნდი განგიხილავს სასტარტო ცენტრის პოზიციაზე. ჩემს მენეჯერს მალევე ვუთხარი – სხვა კლუბებთან მუშაობა საჭირო აღარ არის, გოლდენ სტეიტში ვრჩები-მეთქი.

***– კიდევ რამდენი წელი აპირებ კალათბურთის თამაშს და კარიერის დასრულების შემდეგ პოლიტიკოსობაზე თუ ფიქრობ?***

– კალათბურთი ჩემი ცხოვრებაა. თამაშით დიდ სიამოვნებას ვღებულობ. სანამ გული და გონება არ მეტყვის, საკმარისიაო, მანამ ვითამაშებ. როდესაც საქმე სპორტს ეხება, უნდა გაგიმართლოს კიდეც, რადგან სპორტი და ტრავმიანობა ერთმანეთის გარეშე არ არსებობს. მით უმეტეს, საქმე განსაკუთრებით მაშინ რთულდება, როცა 30 წელს გადააბიჯებ. პროფესიონალი კალათბურთელის კარიერა ძალიან ადრეულ ასაკში დავიწყე და საშუალება არ მქონია, უნივერსიტეტი დამემთავრებინა. სწორედ ამიტომ დანაკლისს ზაფხულობით ვინაზღაურებ, ყოველწლიურად უნივერსიტეტების პროგრამებში ვიღებ მონაწილეობას. წლეულსაც ვიყავი კურსებზე. შტატებში ბიზნესის პროფილით საჭირო ცოდნას ვეუფლები და როდესაც კალათბურთს შევეშვები, ამ მიმართულებით კიდევ უფრო დავიხვეწები. რაც შეეხება პოლიტიკას, ჩემამდეც მოვიდა ხმა, თითქოს, კარიერის დასრულების შემდეგ პოლიტიკაში ვაპირებდე წასვლას. მიმაჩნია, რომ ყველამ ის უნდა გააკეთოს, რაც სიამოვნებს და აინტერესებს. პოლიტიკა კი ის სფერო არ არის, რაც მაინტერესებს. ასე რომ, კარიერის დასრულების შემდეგ პოლიტიკაში ნამდვილად არ წავალ.

***– ჩემპიონობის ზეიმის დროს თურქულ ტელევიზიას ესაუბრე. წყენა ხომ არ დაგრჩა გულში, ქართული მედიიდან შენი ტრიუმფის გასაშუქებლად რომ არავინ ჩამოვიდა?***

– წყენა არ ყოფილა. უბრალოდ, მაკლდით. გამარჯვება გავიზიარე ჩემს ახლობლებთან, ოჯახის წევრებთან ერთად. კარგი იქნებოდა, ქართველი ჟურნალისტებიც იქ ყოფილიყვნენ. ერთადერთი, ვინც შეიძლება ნაწყენი დარჩენილიყო, ქართველი გულშემატკივარია, რომლისთვისაც უთუოდ საინტერესო იქნებოდა ოკლენდიდან გადმოცემული ქართული რეპორტაჟი.

***– ილიას ზუროსზე რისი თქმა შეგიძლია?***

– მწვრთნელმა 3 კვირით გამათავისუფლა და კარგის მეტი რა მეთქმის? მასზე გუნდის მიერ ნაჩვენები შედეგებიც დადებითად მეტყველებს. შედეგს ვერც ერთი გუნდი ვერ მიაღწევს, თუ კალათბურთელი და მწვრთნელი ერთნაირად არ ფიქრობს.

***– გოლდენ სტეიტის მთავარი მწვრთნელი სტივენ კერი ავადმყოფობის გამო შუა სეზონში გუნდთან ვერ იყო. ამან როგორ იმოქმედა თქვენს თამაშზე?***

– მას კლუბში სისტემა ისე აქვს აწყობილი, რომ ავადმყოფობის დროსაც კი არაფერი შეცვლილა. მისი შრომა განსაკუთრებით უნდა დაფასდეს. ვერ წარმოიდგენთ, რაოდენ რთულია ვარსკვლავებით გაჯერებული გუნდის ერთი მიზნისთვის გაერთიანება, ერთ მუშტად შეკვრა. ბოლოს და ბოლოს, ვარსკვლავი უამრავია, ბურთი კი – ერთი. გოლდენ სტეიტში კი ბურთს ყველა კარგად ვიყოფდით. იმდენად კარგად, რომ პლეი-ოფში ერთადერთი მატჩი წავაგეთ. იმედია, ამ ერთ მარცხს გვაპატიებთ.

***– რამდენად რთულია უორიორსში სასტარტო ცენტრის პოზიციის შენარჩუნება?***

– შორიდან მოვუვლი: ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში ყოველწლიურად 60 ახალი კალათბურთელი შემოდის. ამდენივე გადის, რადგან შემადგენლობაში სულ 15 ადგილია. გოლდენ სტეიტშიც 15 ადგილია, აქედან ერთი – სასტარტო ცენტრისთვის. შემთხვევით არაფერი ხდება, აქეთკენ სვლა დიდი ხნის წინ დავიწყე. ყოველწლიურად ბევრს ვმუშაობ, თავს არ ვზოგავ, რომ დასახულ მიზანს მივაღწიო. რადგან გოლდენ სტეიტში ვარ, ე.ი. სწორად ვმუშაობ, სწორად ვიქცევი. რაც უფრო გემატება ასაკი, მით მეტი ვარჯიშია საჭირო. წლეულს თავისთვის დიდი ხნით დასვენების უფლება არ მიმიცია, რადგან კუნთების ბოლომდე მოდუნება არ შეიძლება. ასე რომ, საქართველოს ნაკრებისთვის ინდივიდუალურად ვემზადებოდი და გუნდს, ასე თუ ისე, ნორმალურ კონდიციებში შევუერთდები.

***– ზაზა ფაჩულიას საკალათბურთო აკადემიას წლეულს წარმატებები ჰქონდა.***

– აკადემიის გახსნა ძალიან მინდოდა, მაგრამ დიდუბის მანეჟის გადმოცემის საკითხი რომ დადგა დღის წესრიგში, ბევრი ვიფიქრე. სერიოზული პასუხისმგებლობაა. მე ხომ უამრავი ბავშვის ბედი უნდა ჩამებარებინა. პირველ წელს 300-მდე ბავშვი ვარჯიშობდა, მეორე წელს – 600-მდე. მათი რაოდენობა ორჯერ გაიზარდა, პასუხისმგებლობამაც მოიმატა. აქამდე 2 უცხოელი მწვრთნელი მუშაობდა, წლეულს მესამეც ჩამოგვყავს ამერიკიდან. ასე რომ, კიდევ უფრო გავფართოვდებით და მეტ წარმატებასაც მივაღწევთ.

# დედაქალაქურ დერბიში საბურთალომ ლოკომოტივი გაანადგურა

<u>საბურთალო – ლოკომოტივი 6:0</u>

**თბილისი.** გურამ პეტრიაშვილი

1:0 ვოლკოვი, 2:0 ვოლკოვი (9, 16), 3:0 ხარაიშვილი (20), 4:0 ვოლკოვი (29), 5:0, 6:0 შინდაგორიძე (39, 54)

საბურთალო: კუპატაძე, იაშვილი, მარგველაშვილი, ცნობილაძე, ლაკვეხელიანი (ნადარაია 78), თარხნიშვილი, მამუჩაშვილი, ხარაიშვილი (ჩაბრაძე 66), ვოლკოვი (მუეცი 57), შინდაგორიძე, კოხრეიძე

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, ჩიტეიშვილი, ჭანტურია, ანდრონიკაშვილი (კობახიძე 57), სიხარულიძე, კიკნაძე (დიასამიძე 32), გვალია, ხიდეშელი, გოროზია (ქავთარაძე 46), არველაძე, უბილავა



დედაქალაქური დერბი უხვგოლიანი გამოდგა. დავით პეტრიაშვილის სახელობის სტადიონზე გამართული მატჩი საბურთალოელთა აბსოლუტური უპირატესობით წარიმართა და მათი გამარჯვებით 6:0 დასრულდა.

უნდა ითქვას, რომ წლევანდელ ეროვნულ ლიგაში ექვსი ბურთით არცერთ გუნდს არ მოეგო. ისიც აღვნიშნოთ, რომ აღნიშნული სხვაობით გამარჯვება დედაქალაქურმა კლუბმა უძლიერესთა რიგებში პირველად მოახერხა.

მატჩის ბედი პირველივე ნახევარში გადაწყდა. ანგარიში მე-9 წუთზე გაიხსნა, ლაშა შინდაგორიძის ჩაწოდების შემდეგ თავით დავით ვოლკოვმა გაიტანა. მალევე, მე-16 წუთზე გიორგი ხარაიშვილის გამოზომილი პასის შედეგად ვოლკოვმა დუბლი შეასრულა და საკუთარი გუნდის უპირატესობა უფრო თვალსაჩინო გახადა – 2:0.

საბურთალო ამაზე არ გაჩერდა და ამ მომენტიდან ზუსტად 4 წუთში საჯარიმოს მისადგომებიდან გამოზომილი დარტყმით საკუთარი გოლი გიორგი ხარაიშვილმაც გაიტანა.

3-ბურთიანი უპირატესობის მიუხედავად, გია ჭიაბრიშვილის გუნდი კვლავ აქტიურად უტევდა და პირველი ნახევრის დარჩენილ დროში კიდევ ორი გოლი გავიდა: 29-ე წუთზე ვოლკოვმა ჰეთ-ტრიკი გაიფორმა, 39-ეზე კი, ლაშა შინდაგორიძემ მეხუთედ აიღო რევაზ თევდორაძის კარი.

მეორე ტაიმი შედარებით განსხვავებული სცენარით წარიმართა. საბურთალო ისე აქტიურად აღარ უტევდა და ლოკოც პრესტიჟის გოლის გატანას ცდილობდა. თუმცა კვლავ საბურთალოელებს გაუმართლათ. 54 წუთზე შინდაგორიძემ დუბლი შეასრულა და მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

<u>ჩიხურა-შუქურა 1:1</u>

**საჩხერე.** ცენტრალური სტადიონი

0:1 მარსელინიო(12), 1:1 ჩიკვაიძე(44)

**ჩიხურა:** მწყერაშვილი, გრიგალაშვილი, მირცხულავა, ფონიავა (კორიფაძე 76), განუგრავა (გორგიაშვილი 67), გაბედავა (ივანიშვილი 57), სარდალიშვილი, ტატანაშვილი, კაკუბავა, ჩიკვაიძე, კაშია

**შუქურა:** მელნიჩენკო, ჩადუნელი, პომაზანი, ჩაგელიშვილი (გოგილაშვილი 81), ჯეფინიო, კლიმიაშვილი, მარსელინიო, ა.გურული (შალამბერიძე 70), კახელიშვილი (დაგარგუ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## შედეგები

**6 აგვისტო**

<u>**ფეხბურთი**</u>

**ინგლისი. სუპერთასი**

| | |
|---|---|
| არსენალი-ჩელსი | 1:1(4:1პ) |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| რეგენსბურგი-ნიურნბერგი | 0:1 |
| ფიურტი-არმინია | 1:2 |
| აუე-ფორტუნა | 0:2 |

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

| | |
|---|---|
| ლილი-ნანტი | 3:0 |
| ანჟე-ბორდო | 2:2 |
| მარსელი-დიჟონი | 3:0 |

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

| | |
|---|---|
| ავიში-სპორტინგი | 0:2 |
| სეტუბალი-მორეირენშე | 1:1 |

**რუსეთი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| არსენალი-ტოსნო | 1:2 |
| ცსკა-რუბინი | 1:2 |
| ზენიტი-სპარტაკი | 5:1 |
| კრასნოდარი-ურალი | 1:1 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| მოზერველი-რეინჯერსი | 1:2 |
| აბერდინი-ჰამილტონი | 2:0 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ლუცერნი-გრასჰოპერსი | 2:2 |
| სტ.გალენი-სიონი | 2:0 |
| იანგ ბოიზი-ლოზანა | 3:0 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ვოლფსბერგერი-ალტახი | 1:0 |
| რაპიდი-აუსტრია | 2:2 |
| მატერსბურგი-შტურმი | 2:3 |

**ბელგია. ა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| გენტი-ანტვერპენი | 0:1 |
| ანდერლეხტი-ოსტენდე | 1:0 |
| ბრიუგე-ეუპენი | 3:1 |

**თურქეთი. სუპერთასი**

| | |
|---|---|
| ბეშიქთაში-ქონია | 1:2 |

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

| | |
|---|---|
| იიჰლავა-სლოვაცკო | 0:0 |
| იაბლონეცი-პლზენი | 0:1 |
| ბანიკი-სლავია | 0:0 |

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

| | |
|---|---|
| იაგელონია-სანდეცია | 1:3 |
| კრაკოვია-ლეხი | 0:2 |

**უკრაინა. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ზვეზდა-ვერესი | 1:3 |
| ჩერნომორეცი-ალექსანდრია | 2:2 |
| ვორსკლა-დინამო | 0:0 |
| ზორია-ოლიმპიკი | 0:2 |

**დანია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ლუნგბიუ-ნორდსიელანდი | 1:4 |
| ჰელსინგერი-მიდტიულანდი | 2:1 |
| ოდენსე-ოლბორგი | 0:0 |
| ბრონდბიუ-კოპენჰაგენი | 1:0 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| კალმარი-გიოტებორგი | 1:0 |
| სუნდსვალდი-ესტერსუნდი | 1:1 |
| ჰამარბი-ჰაკენი | 1:2 |
| სირიუსი-აიკი | 1:4 |

**ნორვეგია. ელიტსერია**

| | |
|---|---|
| ვიკინგი-ლილესტრიომი | 2:2 |
| სარპსბორგი-ჰაუგესუნდი | 2:1 |
| სტაბეკი-სანდერფიორდი | 1:3 |
| ტრომსო-მიოლდე | 1:2 |
| ოდ გრელანდი-სონგდალი | 2:1 |
| ალესუნდი-ბრანი | 3:3 |

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

| | |
|---|---|
| ვაასა-კემი | 3:3 |
| მარიჰამნი-სეინეიოკი | 0:0 |
| ჰიკი-ლახტი | 0:0 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ორმა აფროამერიკელმა რესტორანი ცივი ნაგეტსების გამო დაარბია



ამერიკის ფლორიდის შტატში ორმა შავკანიანმა ქალმა სკანდალი მოაწყო სწრაფი კვების რესტორანში და ჭურჭელი და სხვადასხვა ნივთი ირგვლივ მიმოყარა. ამის მიზეზი კი ის გახდა, რომ რესტორანის თანამშრომლებმა მათ ცივი ნაგეტსები მიუტანეს.

მომხდარის ვიდეოჩანაწერი კონფლიქტის ერთ-ერთმა თვითმხილველმა, სახელად ელისონმა, სოციალურ ქსელ ფეისბუქში საკუთარ გვერდზე განათავსა.

# ევროპაში ყველაზე დიდმკერდიანმა ქალმა მალიბუს მაშველები განასახიერა



გერმანიის მცხოვრებმა მარტინა ბიგმა, რომელიც ევროპის ყველაზე დიდი მკერდის ტიტულის მფლობელია, ტელესერიალ „მალიბუს მაშველების" გმირ პამელა ანდერსონის როლი განასახიერა.

28 წლის ქალმა ფოტოსესია ლოს ანჯელესში, ვენის ბიჩის პლაჟზე გამართა და სურათები წითელ საცურაო კოსტიუმში გამოწყობილმა გადაიღო.

– ბავშვობაში პამელა ანდერსონით ვიყავი აღფრთოვანებული სერიალიდან „მალიბუს მაშველები", – აღიარა მარტინამ.

ბიგმა, რომელიც ყოველთვის ოცნებობდა, რომ შავკანიანი ყოფილიყო, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში მელანინის ინექციები გაიკეთა, რომელიც ეპიდერმისში შავი პიგმენტის გამომუშავებას უწყობს ხელს.

– ვფიქრობ, რომ ჩემგან, როგორც შავკანიანი ქალისგან, ძალიან ლამაზი მალიბუს მაშველი გამოვიდა, – განაცხადა გერმანელმა გოგონამ.

მარტინა პლასტიკურმა ქირურგიამ 2012 წელს გაიტაცა. ბიგმა 650 ათასზე მეტი დოლარი დახარჯა მკერდის 18 ზომამდე გასაზრდელად. ასევე მიმდინარე წლის ივნისში მან დუნდულების გასადიდებელი ოპერაცია გაიკეთა.

– მე მკერდის საპირწონე უკანალი მჭირდება, – განაცხადა მარტინამ.

## სპორტი

# დედაქალაქურ დერბიში საბურთალომ ლოკომოტივი გაანადგურა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ლია 65), გოგიტიძე, ჩაჩუა

საჭირო ქულები დაკარგა იმერულმა კლუბმა. საჩხერის ჩიხურა საკუთარ მოედანზე ქობულეთის შუქურას შეხვდა და ფრედ 1:1 ითამაშა.

ანგარიში სტუმრებმა გახსნეს: მე-12 წუთზე დავით ჩაგელიშვილის გამოზომილი პასის შედეგად ხელსაყრელ მდგომარეობაში მარსელინიო აღმოჩნდა და ბრაზილიელმა ლეგიონერმა მომენტი მარტივად დაასრულა.

გატანილი გოლის შემდეგ ქობულეთელებმა უკან დაიხიეს და მომენტების შექმნას კონტრშეტევების საშუალებით ცდილობდნენ. საჩხერელები კი პირიქით, გაშვებული ბურთის შემდეგ კიდევ უფრო გააქტიურდნენ და სტუმართა კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს.

მასირებულმა შეტევებმა შედეგი პირველი ტაიმის მიწურულს გამოიღო. 44-ე წუთზე ლაშა ჩიკვაიძემ შორეული საჯარიმო დარტყმა ზუსტად შეასრულა და წონასწორობა აღადგინა.

მეორე ტაიმში თამაშის მიმდინარეობა არ შეცვლილა. იმერლები დიდი ძალებით უტევდნენ, აჭარლები კი, თავს კარგად იცავდნენ და მწვავე კონტრიერიშების განხორციელებას ცდილობდნენ. საბოლოოდ შეხვედრაში უცვლელი დარჩა და ზედიზედ წაგებული 6 შეხვედრის შემდეგ შუქურამ ფრედ ითამაშა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 21 | 16 | 1 | 4 | 54-15 | 49 |
| 2.ტორპედო | 21 | 13 | 5 | 3 | 31-14 | 44 |
| 3.სამტრედია | 21 | 13 | 3 | 5 | 33-21 | 42 |
| 4.ლოკომოტივი | 21 | 9 | 3 | 9 | 35-29 | 30 |
| 5.ჩიხურა | 21 | 9 | 3 | 9 | 28-33 | 30 |
| 6.საბურთალო | 21 | 9 | 2 | 10 | 29-27 | 29 |
| 7.დინამო (ბთ) | 21 | 7 | 2 | 12 | 17-26 | 23 |
| 8.დილა | 21 | 5 | 7 | 9 | 24-31 | 22 |
| 9.კოლხეთი | 21 | 4 | 7 | 10 | 18-35 | 19 |
| 10.შუქურა | 21 | 1 | 5 | 15 | 16-54 | 8 |

**ბომბარდირები:** ირაკლი სიხარულიძე (ლოკომოტივი) – 15ბურთი; ბაჩანა არაბული (დინამო თბ), დიმიტრი ტატანაშვილი (ჩიხურა) – 11-11; მიკოლა კოვტალიუკი (კოლხ/დინამო თბ) – 10;

# პატარიძე მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

2 მედალი ერგოთ საქართველოს თავისუფალი სტილით ახალგაზრდული ნაკრების მოჭიდავეებს – მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი რამდენიმე თვის წინ ევროპირველობის მომგები გივი მაჭარაშვილი (96) გახდა, ბრინჯაოს მედალს ივერი ჯულაყიძე (66) დაეუფლა.

მაჭარაშვილმა საფინალო გზაზე 4 მეტოქე ჩამოიცილა და ყველა მათგანს ქულების აშკარა უპირატესობით მოუგო, იაპონელი ტაკაში იშიგურო, უკრაინელი ოლექსანდრ ხიმიშლი და გერმანელი ილია მატუხინი ერთნაირი ანგარიშით 10:0 დაამარცხა, ნახევარფინალში კი ამერიკელი კოლი მური 16:4 გაანადგურა, ფინალში ჩვენებური რუსეთის წარმომადგენელ შამილ მუსაევს დაეჭიდა და 2:7 დათმო შეხვედრა.

ჯულაყიძემ ძირითად ბადეში იაპონელი კოჯირო შიგა (6:4) და ეგვიპტელი ამრ რედა რამადან ჰუსენი (10:4) დაამარცხა, მეოთხედფინალში კი მომავალ ჩემპიონ რუს დავიდ ბაევთან დამარცხდა და დამამშვიდებელ წრეში გადაერთო, სადაც ალჟირელ იშაკ ბუხორსას (14:4) მოუგო, ბრინჯაოს მედლისათვის კი სომეხ გევორგ მხეიანს (6:4) აჯობა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# წყვილები დაგვიანების გამო ჩხუბობენ



ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა ახლახან ჩატარებული გამოკითხვის შედეგები, რომლის თანახმადაც, წყვილები წელიწადში 30-ჯერ დაგვიანების გამო ჩხუბობენ.

კვლევის თანახმად, ყოველი მეოთხე ქალი აღიარებს, რომ მეგობართან შეხვედრაზე დაგვიანებით მიდის. ანალოგიურად უპასუხა გამოკითხული მამაკაცების 16-მა პროცენტმა.

ყოველი ხუთი ქალიდან ერთზე მეტი სამსახურში აგვიანებს, მაშინ როდესაც დაგვიანების მოყვარული მამაკაცების რაოდენობა 13 პროცენტს არ აღემატება.

სამაგიეროდ, გაირკვა, რომ შვებულებაში გასასვლელად ქალები მზადებას გაცილებით ადრე იწყებენ, ვიდრე მამაკაცები, რომლებიც ამჯობინებენ, რომ ბოლო მომენტში მოამზადონ ყველაფერი.

გამოკითხვაში 2 ათასმა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა. ქალების 65 და მამაკაცების 55 პროცენტმა განაცხადა, რომ სუპერორგანიზებულები არიან.

# ჯავშნოსნის მოკვლის მსურველ ტეხასელს ასხლეტილი ტყვია სახეში მოხვდა



ამერიკის ტეხასის შტატის მცხოვრებმა ჯავშნოსნის მოკვლის მცდელობისას ასხლეტილი ტყვია სახეში მიიღო. ის ცხოველის ჯავშანმა აისხლიტა.

კასის ოლქის შერიფ ლარი როუის თქმით, ტეხასელმა ჯავშნოსანი ქალაქ მარიეტაში საკუთარი სახლის ტერიტორიაზე აღმოაჩინა და მას ცეცხლი რევოლვერიდან გაუხსნა. მან ცხოველს სამი ტყვია ესროლა. ერთი მათგანი ჯავშანმა აისხლიტა და მსროლელს ყბაში მოხვდა.

როუის თქმით, მამაკაცი ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ექიმებმა სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. ცხოველის მდგომარეობის შესახებ არაფერია ცნობილი. შერიფის თქმით, შემთხვევის ადგილზე მათ ჯავშნოსანი ვერ აღმოაჩინეს.

# კანიე უესტმა კიმ კარდაშიანს სელფი „გაუფუჭა"



რეპერმა კანიე უესტმა სელფი „გაუფუჭა" თავის მეუღლეს, რეალიტი-შოუს ვარსკვლავ კიმ კარდაშიანს. ეს ინფორმაცია სწორედ ტელევარსკვლავმა გაავრცელა სოციალურ ქსელ ინსტაგრამში.

კარდაშიანი სურათის გადაღებას თავისი ქალიშვილის ნორტის ძაღლთან ერთად აპირებდა, მაგრამ კადრში მოულოდნელად უესტი შეიჭრა.

– როდესაც სელფის გადაღებას სუშისთან ცდილობ (ასე ჰქვია ძაღლს), მაგრამ ამ დროს ქმარი ფოტობომბს გიქმნის, – განაცხადა რეპერის მეუღლემ.

„გაფუჭებულმა" ავტოპორტრეტმა ერთ დღეზე ნაკლებ დროში 1,2 მილიონზე მეტი მოწონება მიიღო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ასტროპროგნოზი

## 8 აგვისტოსთვის



**ვერძი** – დღის პირველი ნახევარი ფინანსური კუთხით წარუმატებელია. ეცადეთ, ემოციების გამოვლენისაგან თავი შეიკავოთ. ერიდეთ გარისკვას. **კურო** – პლანეტების მფარველობას გრძნობთ. ახალი კავშირების დასამყარებლად კეთილისმყოფელი დღეა. **ტყუპები** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. მთავარია, დაწყებული საქმე დაამთავროთ და სამომავლოდ არ გადადოთ. ნათესავებთან ურთიერთობა უკეთესობისკენ იცვლება. **კირჩხიბი** – გადაწყვეტილების მიღებისას სიმტკიცე გმართებთ, თუმცა სასურველ შედეგს ნუ დაელოდებით. მცდარი ინფორმაცია უსიამოვნების მიზეზი გახდება. **ლომი** – შესაძლოა, მალე სამსახურში დაგაწინაურონ. უმეტესწილად ეს ხელმძღვანელობასთან ურთიერთობაზე იქნება დამოკიდებული. **ქალწული** – მძიმე და სახიფათო დღეა. ქალაქგარეთ გასვლა, მივლინება თქვენს იმედებს არ გაამართლებს. კოლეგებთან ურთიერთობას ნუ გაირთულებთ. **სასწორი** – ფხიზლად იყავით. ოჯახის წევრებთან ურთიერთობისას მოთმინებისა და დიდსულოვნების გამოჩენა გმართებთ. **ღრიანკალი** – კოლექტიური საქმიანობა წარმატებული იქნება. მიენდეთ განსაკუთრებით გამახვილებულ ინტუიციას. მატერიალური მდგომარეობის თვალსაზრისით პოზიტიური ცვლილებები შეინიშნება. **მშვილდოსანი** – კარგი პერიოდია გეგმების განსახორციელებლად. გელით ფინანსური მოგება. დაწყებულ საქმეს წარმატებით დაამთავრებთ. **თხის რქა** – ახალი ენერგიით აღივსებით, რაც მიზნის მიღწევაში ძალიან დაგეხმარებათ. ხელმძღვანელობა თქვენს ინიციატივას მიესალმება და მხარს უჭერს. დაწყებულ საქმეს წარმატებით დაამთავრებთ. **მერწყული** – დღის პირველი ნახევარი კარგია ახალი ნაცნობების შეძენისა და ახალი ურთიერთობებისათვის. მიღებულმა ინფორმაციამ, შესაძლოა, თქვენს მომავალზე საკმაოდ დადებითი გავლენა იქონიოს. **თევზები** – მატერიალური მდგომარეობა არასახარბიელოა. აქტიურობა საზიანოა. აუცილებლობის შემთხვევაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა; 2. ებრაელთა მოყვარული ადამიანი; 3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 5. გერმანელი ექიმი, თეოლოგი, მისიონერი, მუსიკათმცოდნე, ნობელის პრემიის ლაურეატი; 7. უტიფარი, მოურიდებელი, ურცხვი ადამიანი; 9. ელჩის გამოწვევა სახელმწიფოდან; 13. ოპერის სიტყვიერი ტექსტი; 15. ქალაქი-მუზეუმი საქართველოში; 16. პოლიგრაფიული საწარმო; 18. ხორცის შესაწვავი მბრუნავშამფურებიანი ელექტროღუმელი.

**თარაზულად:** 4. მრგვალად დამუშავებული ძვირფასი ქვა; 6. იტალიელი არქიტექტორი, მშრალი ხიდის პროექტის ავტორი; 8. ქიზიყის ძველი სახელწოდება; 10. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 11. პროვინციის მმართველი თურქეთში; 12. ცხარე საწებელა; 14. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 17. გერმანული ქიმიურ-სამრეწველო კონცერნი; 19. ქეიფი, დროსტარება; 20. გონებასუსტი ადამიანი; 21. ჯიხვების ჯოგი; 22. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 23. პატარა სამკუთხა ალამი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. მარაბუ; 7. ენდშპილი; 8. კუპატი; 10. პეშვი; 11. კიდნეპინგი; 13. ლამპიონი; 16. დავოსი; 19. ადმირალი; 20. გირლანდა.

**შვეულად:** 1. მანუალი; 2. აბატი; 3. ონკოლოგი; 4. იპოთეკა; 5. ნიტრიტები; 9. რაიონი; 12. გაზოილი; 14. აბრისი; 15. იორი; 17. სკოლა; 18. კანა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. პინა; 2. მელანო; 3. ლემა; 4. ფიალა; 5. ხმა; 6. ალაფი; 7. საფანტი; 8. მადა; 9. კამბალა; 10. ლიმანი; 11. მაიორი; 12. იოსებ; 13. სუმო; 14. მამალი; 15. ინა; 16. ბაფთა; 17. იორდანე; 18. ბასტილია; 19. რეფერი; 20. ია; 21. კინო; 22. მაროკო; 23. იჯრა; 24. ნიამორი; 25. აბანო; 26. ბოა; 27. ნორდი; 28. დაირა; 29. აკურა; 30. რუ; 31. არდანი; 32. ნული; 33. აუდი; 34. იო.

**სურათებზე:** ელ მაკფერსონი; ჯონ ოში.

## ადრიანა ლიმამ დემნა გვასალიას კაბაში იპოზიორა



მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე ძვირადღირებულმა მოდელმა ადრიანა ლიმამ ამერიკული ჰარპერს ბაზაარის სექტემბრის ნომრისთვის ქართველი დიზაინერის დემნა გვასალიას კაბაში იპოზიორა.

მოდელმა ფოტოსესიისთვის ბალენციაგას ხელმძღვანელის დემნა გვასალიას პირველი ჰოთ კუტური კაბა მოირგო, რომელიც დიზანერმა ბალენციაგასთვის შექმნა. ადრიანამ ფეხსაცმელიც დემნასი შეარჩია. მწვანე ფეხსაცმელი დემნამ 2017 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექციისთვის შექმნა.

ადრიანა ლიმას ფოტოსესია ამერიკული ჰარპერს ბაზაარის 2017 წლის სექტემბრის ნომერში დაიბეჭდება.

## ნიკა გვარამია „იმედის" ხელმძღვანელობას მიმართავს



ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის ხელმძღვანელი ნიკა გვარამია ტელეკომპანია „იმედის" ხელმძღვანელობას და პროდიუსერ გიორგი ხაბურზანიას სოციალურ ქსელში საჯაროდ მიმართავს:

– ტელეკომპანია იმედი, დეკორატორებიც რომ მიგყავთ, აქამდე რას შვრებოდით, ტელევიზია იყავით თუ ბოსელი? და მანდ ხალხი არ მუშაობდა? თუ საკუთარი თანამშრომლები ფეხებზე გკიდიათ და ადამიანებად არ აღიქვამთ?

ნამუსიც კარგი საქონელია გიორგი ხაბურზანია. წახვედით, წაიღეთ ფორმატები, გადაიბირეთ ვიღაცები – გავიგეთ, გმადლობთ ყველაფრისთვის და კარგად იყავით. რომ შეგვეშვათ, არ გინდათ?

## ირაკლი ჩარკვიანის საღამო ბლექ სი არენაზე გაიმართება



15 აგვისტოს ბლექ სი არენაზე ირაკლი ჩარკვიანის საღამო გაიმართება. „ირაკლი ჩარკვიანი – ისტორია" – ასე ეწოდება საღამოს, რომელიც „ბრავო რექორდსისა" და ალტერვიჟენ ჯგუფის ორგანიზებულია. საღამოზე მუსიკოსის ყველაზე პოპულარული და ყველასთვის საყვარელი სიმღერები შესრულდება.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი ნიკოლოზ რაჭველის ხელმძღვანელობით, სტეფანე, ნინა სუბლატი, ლევან მასპინძელაშვილი, მარიკო ლეჟავა, მაია დარსმელიძე, თიკა ბალანჩინი ენდ ნიუ ვან ბენდ, სოფთ იჯექტი, გრინ რუმი, რობი კუხიანიძე და აუთსაიდერი, ლაუდსპიქერსი და ვინდა ფოლიო.

კონცერტის მსვლელობისას სცენაზე დამონტაჟებულ ეკრანზე გავა ირაკლის უცნობი ფოტოებისა და ვიდეო მასალისგან შექმნილი ინსტალაციები. საღამოს წამყვანი გელა ჩარკვიანი იქნება.

## ნანა ქავთარაშვილი ყაზბეგში მიწების გაყიდვას აპროტესტებს



უცხოეთში მოღვაწე ქართველი საოპერო მომღერალი ნანა ქავთარაშვილი ყაზბეგში მიწების გაყიდვას აპროტესტებს და მოხევეებს მიმართავს, არაფრის ფასად არ მიჰყიდონ მიწები არაბებს.

**ნანა ქავთარაშვილი:**

– მოხევეებო! გავიგე, არაბები ყაზბეგშიც ისვენებენო... არ მიჰყიდოთ მიწები არაბებს, თუნდაც მილიონები გადაგიხადონ! დარწმუნებული ვარ, ეგ არასოდეს მოხდება, მაგრამ, ყოველ შემთხვევისთვის იცოდეთ, თუ გაბედოს ვინმემ, ღმერთი არ გაპატიებთ! აქ რომ მეჩეთების აშენებას მოითხოვენ, მერე ნახეთ თქვენ! ღმერთის რისხვა არ აგცდებათ საშვილთაშვილოდ, უგუნურებო! ნუთუ ყველაფერი ფულია ნამუსგარეცხილებო... ვინ მოგცათ უფლება, სამშობლო გაყიდოთ! გაიხადეთ, გატიტვლდით კიკუებო! მოღალატეებო! დაისჯებით!

# სამგლოვიარო განცხადებები

## ნოდარ მოდებაძის გახსენება



8 აგვისტოს შესრულდა ერთი წელი შესანიშნავი ვაჟკაცის, გულანთებული მამულიშვილის, ქვეყნისთვის, სიმართლისთვის, კახეთისთვის, ოჯახისთვის, მეგობრებისა და ნათესავებისთვის მოსიყვარულე ადამიანის, ღირსეული მამის, ძმის, შვილიშვილებისთვის პაპის, მსოფლიო თასის მფლობელის, ევროპის, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის თავისუფალ ჭიდაობაში ნოდარ მოდებაძის გარდაცვალებიდან.

მსოფლიო, ოლიმპიური, ევროპის, საქართველოს ჩემპიონები, საქართველოს ეროვნული ფედერაცია, ვეტერანი მოჭიდავეები, საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდის" სახელით, თამაზ მაჭავარიანი

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

## ახალი ბანას სამონასტრო-საგანმანათლებლო კომპლექსის მშენებლობას საფუძველი ჩაეყარა



საუკუნის პროექტი – ასე უწოდეს ახალი ბანას სამონასტრო-საგანმანათლებლო კომპლექსის მშენებლობის დაწყებას. ქვეყნის გეოგრაფიულ ცენტრში, აღმოსავლეთ-დასავლეთ-სამხრეთ საქართველოს გზაგასაყარზე, სურამისა და ხაშურის ეპარქიაში საფუძველი ჩაეყარა საუკუნის პროექტის, ახალი ბანას სამონასტრო-საგანმანათლებლო კომპლექსის მშენებლობას.

პროექტი, რომლის ავტორიც სურამისა და ხაშურის ეპარქიის მღვდელმთავარი მეუფე სვიმეონია, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ხორციელდება. გრანდიოზული პროექტის გახსნა ტაძრის საძირკვლის კურთხევით დაიწყო, რომელიც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ წმინდა სინოდის წევრებთან ერთად აღავლინა. მისმა უწმინდესობამ ისტორიული პროექტის დაწყების აღსანიშნავად საძირკველში კაფსულა მოათავსა.

ხაშური-სურამის ეპარქიის ხელმძღვანელის თქმით, ტაძრის მშენებლობის მიზანი მომავალი თაობებისთვის ბანას ისტორიული მნიშვნელობის გაცნობა და ეკლესიაში საგანმანათლებლო და კულტურული კერის ჩამოყალიბებაა. ახალი ბანას აღდგომის სახელობის სამონასტრო-საგანმანათლებლო ცენტრი იქნება აწ განადგურებული ქართული ისტორიული მემკვიდრეობის უდიდესი საგანძურის, ბანას ტაძრის ორეული და XIX საუკუნის საქართველოში ქართული განათლების ტრადიციის ღირსეული გამგრძელებელი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ოდითგანვე არსებული ყოველი მონასტერი იყო არა მარტო სასულიერო მოღვაწეობის ადგილი, არამედ საგანმანათლებლო ცენტრიც. ახალი ბანას საგანმანათლებლო ცენტრში იქნება თანამედროვე ტექნოლოგიებითა და სტანდარტებით აღჭურვილი დარბაზები, კომპიუტერული აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები და ბიბლიოთეკა, სადაც სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები სასწავლო და სამეცნიერო შეხვედრებს გამართავენ და შეეძლებათ ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება და ცოდნა. სასწავლო პროცესის და სამეცნიერო მუშაობის პარალელურად სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ, მოილოცონ ახალი ბანას ტაძარი და დაესწრონ ღვთისმსახურებას, გაეცნონ მონასტრულ ცხოვრებას, მონაწილეობა მიიღონ მონასტრის ყოველდღიურ საქმიანობაში, დააგემოვნონ მონასტერში მომზადებული ტრადიციული ქართული კერძები და განიტვირთონ უმშვენიერეს ბუნებაში.

ახალი ბანას სამონასტრო-საგანმანათლებლო ცენტრი თავისი არსებობით ხელს შეუწყობს თეოლოგიურ და სხვა სამეცნიერო დარგებში საზოგადოების ცოდნის დონის ამაღლებას.

– მეცნიერებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ, რადგან ის გადაარჩენს ჩვენს ხალხს. თუ ჩვენ მეცნიერება დავკარგეთ და დავივიწყეთ, ქართველი ხალხი დაიღუპება. მეცნიერება ცვლის ადამიანის ბუნებას და ხასიათს. თუ განათლებულია ადამიანი, მეტ პასუხისმგებლობას გრძნობს ღვთის, სამშობლოსა და ოჯახის წინაშე, – ბრძანებს ილია მეორე.

## თბილისში მსოფლიოში აღიარებული საცირკო შოუ ჩამოდის



ძმები ზაპაშნების საპროდიუსერო ცენტრი ქართველ მაყურებელს დიდ სიურპრიზს უმზადებს. 11 ნოემბერს, მხოლოდ ერთი დღით, სპორტის სასახლეში, მსოფლიოში აღიარებული საცირკო შოუ „უფო" გაიმართება. ეს არის ფანტასტიკური საცირკო შოუ, რომლის სიუჟეტი ვითარდება კოსმოსური თეფშის ბორტზე. ხომალდის უნებლიე სტუმრები არიან ადამიანები დედამიწიდან, რომლებიც უცხოპლანეტელებმა გაიტაცეს შორეულ გალაქტიკაში.

ხომალდზე მოხვედრილი ტყვეები ეცნობიან უცხოპლანეტელებს და არამიწიერ ცივილიზაციას, მათ წინ სიღრმეში იშლება ამ სამყაროს საიდუმლოებანი. ფანტასტიკური საცირკო შოუსგან მაყურებელს ელის თავგადასავლები, მფრინავი კოსმიური ხომალდების და გამოუცნობი მფრინავი ობიექტები იფრენენ ცირკის გუმბათზე, მათ ელით შეხვედრები ამოსაცნობ ციურ არსებებთან. წარმოდგენა გაჯერებულია საცირკო ნომრებით, რომელიც ავლენს ადამიანის „არაადამიანურ შესაძლებლობებს". ამ სანახაობას ქმნიან აკრობატები, გიმნასტები, ჟონგლიორები, ჯამბაზები და სხვა არტისტები.

ახალი საცირკო შოუ ეფუძნება საავტორო მუსიკას, თანამედროვე განათებასა და ლაზერულ ინსტალაციას, ახალი ეპოქის ხმოვან და ვიდეო ტექნოლოგიებს. სანახაობით მოჯადოებული მაყურებელი სიღრმისეულად მოგზაურობს სივრცეში და ეხება არამიწიერ სილამაზეს, მოგზაურობს პლანეტებზე, ათვალიერებს გალაქტიკის პეიზაჟებს და იქმნის კოსმოსში გაფრენის ილუზიას.

## თევდორეწმინდის სახელობის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ, საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდთან ერთად ბოლნისის მუნიციპალიტეტში მდებარე თევდორეწმინდის სახელობის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო.

პროექტით გათვალისწინებულ პირველ ეტაპზე შემდეგი ტიპის სამუშაოები შესრულდა – მოიხსნა ტაძრის პერიმეტრზე ამორტიზებული კედლის ზედა ფენა; ინტერიერში აღდგენილია კედლის საპირე წყობა უხეშად დამუშავებული ტუფის კვადრებით ქუსლის დონეზე, აღდგენილია ჩრდილოეთის აღმოსავლეთისა და დასავლეთ ფასადებზე საპირე წყობა კირდუღაბის ხსნარზე სუფთად გათლილი ტუფის კვადრებით, საპირე წყობებს შორის სიცარიელე შეივსო ადგილობრივი არსებული ნატეხი ყორე ქვებით კირდუღაბის ხსნარზე, ინტერიერში აღდგენილია პილასტრები სუფთად თლილი ბოლნისის ტუფით და გათლილია ლავგარდანის ქვები.

## მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობი 80 წლისაა



ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობი ლილი ჩიბალაშვილი იუბილარია. თეატრის ნამდვილ ვარსკვლავს, საქართველოს დამსახურებულ არტისტს 80 წელი შეუსრულდა.

ინფორმაციას ამის შესახებ თეატრი თავად ავრცელებს:

– მუსიკისა და დრამის თეატრი 80 წლის იუბილეს ულოცავს ჩვენი თეატრის ნამდვილ ვარსკვლავს, საქართველოს დამსახურებულ არტისტს, უმშვენიერეს ქალბატონ ლილი ჩიბალაშვილს! ქალბატონო ლილი, გვიხარია და გვეამაყება, რომ თქვენ „მუსკომედიის" თეატრის „მშვენიერი ლედი", ამ თეატრის განუყოფელი და ძვირფასი ნაწილი ხართ. თქვენ მიერ შექმნილი არაერთი საინტერესო და დაუვიწყარი სახე კიდევ დიდხანს ემახსოვრება თეატრის ერთგულ მაყურებელს. ქალბატონო ლილი, გულითადად გილოცავთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და მადლობას გიხდით თქვენი შემოქმედებისთვის და განსაკუთრებული ღვაწლისთვის ქართული თეატრის წინაშე.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## პროგრამა

### სამშაბათი 8 აგვისტო

**06.00** მუსიკა პირველზე **06.30** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. **"წინ" წარმატებისკენ" 10.10, 03.40** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე" 12.30** "საუკუნის პორტრეტები" **13.10, 04.40** დღის მხ/ფ **"12 განრისხებული მამაკაცი"** (ს.ლუმეტი) **15.00** ქართული დოკუმენტალისტიკა. "უცნობი ჯარისკაცი" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. **"ოფისი" 18.30** "ტელებლოგი" **19.00** ტ/სერ. **"ძველი ხიდის საიდუმლო" 20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. **"ცბიერი მოახლეები" 22.40 ფეხბურთი.** უეფა-ს სუპერთასის ფინალური შეხვედრა მადრიდის **"რეალი" - "მანჩესტერ იუნაიტედი"** (პირდაპირი მაკედონიიდან) **00.30** მხ/ფ **"ველური მდინარე"** (მ.სტრიპი) **02.20** მხ/ფ **"ზღვარზე"** (ქ.მერფი)

**ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ ქთავაზობთ.**

**07.00, 14.40** სერ. **"ელიფი" 08.00, 16.00** სერ. **"ოჯახური პორტრეტი" 1-2** სერ. **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 05.05** ქრონიკა **09.20** სერ. **"პატარძალი" 11.20** სერ. **"ფიცი" 12.30** სერ. **"ღირსების სახელით" 7** სერ. **17.35** სერ. **"ხაფანგი" 18.45, 19.03** სერ. **"მოპარული ცხოვრება" 21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. **"ძმა" 22.30** სერ. **"ვიკინგები 3" 9-10** სერ. **00.00** მხ/ფ **"რიგით რაიანის გადასარჩენად" 03.00** მხ/ფ **"დიდი იმედები" 05.20** მხ/ფ **"სკეპტიკოსი"**

**05.30, 18.45** სერ. **"კაცი" 06.30, 19.45, 20.03** სერ. **"დესპოტი ქმარი" 07.30** მხ/ფ **09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **09.10** სერ. **"დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა" 10.15** სერ. **"მფარველი ანგელოზი" 12.30** სერ. **"ვარსკვლავის დაბადება" 13.55** სერ. **"ფერიჰას საიდუმლო" 15.30** სერ. **"წარსულის ჩრდილი" 16.55** სერ. **"დაკარგული წლები" 20.50** ლოტო **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები" 23.30** დოკ/ფ "აგვისტოს ომი **2"** სერ. **"დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა"**

**08.00** ან/ფ "ავატარი" **09.00** სერ. **"მონკი-3"** მე–**11" 12" 13** სერია **12.00** სერ. **"კრიმინალური რომანი" 5** სერ. **13.00** მხ/ფ **"კოქტეილი" 15.00** სერ. **"ანტიმაფია 8" 17.00** სერ. **"ინტერესის ობიექტი 5" 2-3** სერ. **19.00** სერ. **"გრეის ანატომია 12" 21.00** სერ. **"კრიმინალური რომანი" 6** სერ. **22.30** მხ/ფ **"საწვართნელი დღე" 00.45** მხ/ფ **"რიტუალი" 02.50** მხ/ფ **"შურისძიება" 04.40** მხ/ფ **"ნიქსონი"**

**08.00** ანანდა **08.15** მულტფილმი **08.30** სერ. **"ღმერთების ხელდასხმული" 09.20** მულტ/სერ. "სისი" **09.50, 22.35** სერ. **"სიყვარულსა და შიშს შორის" 10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.20, 22.25** ტელემარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30, 02.20** ახალი ამბები **11.20** სერ. **"უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენები"** დედამიწის ფორმა II ნაწ. **11.50, 1.30** მოდი გავიყაროთ **12.40** ბენეფისი **15.00** სერ. **"ბანდოლერა" 18.00, 03.00** ღია სტუდია **19.55** მე რომ ვიყო **20.00** სერ. **"ფოილის ომი" 21.30** კრაზანა **0.00** მხ/ფ **"საბოტაჟი" 04.00** სერ. **"რაუ"**

**06.10** სპექტაკლი **"საქართველოს უკანასკნელი დედოფალი" 07.25** დ/ფ "ველური ბუნება-ლეგენდა ფერად კლდეზე" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **09.05** "განთიადი" კოლაჟი **10.15** პატერიკი-რა არის ბედნიერება **10.20** მხ/ფ **"ენი მწვანე სახურავების მამულიდან" 12.10** მოკ. მხ/ფ **"ცაბუნია" 12.45** საქართველო ევროპულ ოჯახში **13.30** "შუადღის სტუმარი"-მღვდელი იაკობ ჩიჩილიძე-ტაძარში მოქცევის წესები **13.50** "შუადღის სტუმარი" არტ პორტრეტი-თბილისური კვარტეტი **14.30** დ/ფ "ველური ბუნება-მზერა უხილავისკენ" **15.05** ქართული ან/ფ **15.15** დ/ფ "ბარტ ვულფი-სინგაპური" **15.45** კონცერტი **17.10** ქრისტიანული ხელოვნება "ენკაუსტიკური მხატვრობა საქართველოში" **18.15** დ/ფ "ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის ამბროსი ხელაია" **18.30** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00** სამყაროს შექმნა **19.10** მოკ. მხ/ფ "ბაკულას ღორები" **20.00** ღია აუდიტორია "ალიკო ცინცაძე" **20.40** ძილი ნებისა "გაუცინარი ხელმწიფე" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია-"თსუ" **22.00** ჩვენი ფონდი "მ. ბახტაძე, მარიკა ლორთქიფანიძე-წმინდა მეფე სოლომონ II" **22.25** დეკორატიული ფლორა "ფიკუსი" **22.45** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია-"ბორჯომის მხარეთმც. მუზეუმი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ცარიელია სახლი" **23.45** ღვთის სახლი "სიმონ კანანელის სახელობის ტაძარი" **00.15** სალვთისმეტყველო საუბრები **00.30** მხ/ფ **"წარსულის აჩრდილები"** I,II

მაესტრო **08.00 - 03.00** ახალი ამბები (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.15 - 02.15** სპორტი (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.30- 02.30** ახალი ამბები მსოფლიო (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.00, 10.00, 13.00, 19.00, 23.00, 01.00** ბიზნესი **21.00** მთავარი გამოშვება

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

8 აგვისტოსთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.3910 |
| ევრო | 2.8393 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.1432 |
| 100 რუსული რუბლი | 3.9548 |

## ამინდის პროგნოზი 8 აგვისტოსთვის





## 1 აგვისტოდან




ქართული დეტექტივი მე-15 ტომი

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ორშაბათის სიზმარი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


## იუმორი



სარეკლამო განცხადება ხილ-ბოსტნეულის მაღაზიაში:

„ქალბატონებს, რომელთაც სურთ მშვენიერი ფიგურა ჰქონდეთ, ბანანის მიღებას ვურჩევთ. თქვენ მსუქანი მაიმუნი შეგხვედრიათ?“

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რა მოსდევს სიღარიბეს?

– სიღატაკე.

– რა არის სიღატაკის შემდეგ?

– სამომხმარებლო მინიმუმი.

●●●

ორი ლოთი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– სასწრაფო ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია მესაჭიროება.

– უკვე დაგისხი.

– შენ ნამდვილი მეგობარი ხარ!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– რუსეთში გამოკითხვა ჩაუტარებიათ და თურმე მოსახლეობის 84 პროცენტი თავს ბედნიერად გრძნობს.

– მართლა? და დანარჩენი 16 პროცენტი?

– ისინი ტელევიზორს არ უყურებენ.

●●●

გინეკოლოგთან შავკანიანი ქალია მიღებაზე. ქალი სავარძელში ჩაჯდა, ფეხები გადაშალა, ექიმი კი მიაჩერდა შიგნით და ხმას არ იღებს. გავიდა ერთი წუთი, ორი, სამი... ათი... უცბად ექიმმა მაგიდაზე მუშტი დასცხო და დაიყვირა:

– მორჩა, გადაწყვეტილია!

შეშინებული ქალი ეკითხება:

– რა არის გადაწყვეტილი, ექიმო?

– ვყიდულობ შავ პორშე კაიენს წითელი ტყავის სალონით.

●●●

სახლში დაბრუნებულმა ცოლმა ჩანთიდან ამოალაგა: ლუდი, თევზი, კიბორჩხალა და მეუღლეს მიმართავს:

– ეს შენ, საყვარელო. და ფეხბურთს რატომ არ უყურებ? კიდევ რაიმე გემრიელი ხომ არ მოგიმზადო?

– ძალიან?

– არც ისე, ძვირფასო: ფარები, ბამპერი და კაპოტი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.





## 20 ივლისიდან

შიო გვეტაძე

მონანიება

ქართული დეტექტივი მე-14 ტომი




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი



## 13 ივლისიდან




ლაშა იმედაშვილი

სამი მკვლელობა ძველ თბილისში

პატრიარქის ზაფხული

ქართული დეტექტივი ტომი 13

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


## პრინცესა დიანას ბოიფრენდის ბინა 1997 წლიდან „ხელუხლებელია“



პრინცესა დიანას ბოიფრენდის ბინა ლონდონში 1997 წლიდან მოყოლებული „ხელუხლებლად“ რჩება. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

პროდიუსერი დოდი ალ-ფაიედი თავის შეყვარებულთან ერთად პარიზში 1997 წელს პარიზში ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

მამამისმა, ეგვიპტელმა მილიარდერმა მოჰამედ ალ-ფაიედმა გადაწყვიტა, ბინა ისეთივე მდგომარეობაში დაეტოვებინა, როგორიც ის მისი შვილის სიცოცხლეში იყო. ის ასევე უარს აცხადებს მის გაყიდვაზე.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აპარტამენტებს რეგულარულად ალაგებენ, მაგრამ, ალ-ფაიედ-უფროსის პირობების თანახმად, ყველაფერი თავის ადგილზე უნდა დარჩეს.

## პატარიძე მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონია



ფინეთის ქალაქ ტამპერეში დასრულდა მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი, შეჯიბრების ბოლო დღეს საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით ნაკრების ლიდერმა მძიმეწონოსანმა ზვიად პატარიძემ მსოფლიოს ჩემპიონატზე მეხუთე ოქროს მედალი მოიპოვა.

ახალგაზრდა ლომად წოდებულმა პატარიძემ ზედიზედ ხუთჯერ შეძლო მსოფლიოს უძლიერესი ფალავნის ტიტულის მოპოვება – ორჯერ ჭაბუკებში (2013, 2014) და სამჯერ ახალგაზრდებში (2015, 16, 17).

ფინალში ქართველმა ფალავანმა ყირგიზ კიმ რომანს (6:2) მოუგო, საფინალო გზაზე კი 4 მეტოქე დაამარცხა, იაპონელი იცუკი შოჯი 47 წამში, ხოლო რუმინელი ისტვან ბერეი 17 წამში აშკარა უპირატესობით 8:0 გაანადგურა, მეოთხედფინალში ირანელ ამინ მირზაზადეს 4:1 მოუგო, ნახევარფინალში კი რუსი გიორგი გაჯინოვი 4 წუთში იოლად, 9:0 დაჯაბნა.

დაჯილდოების ცერემონიალზე ორგანიზატორებმა შეცდომით საქართველოს ძველი ჰიმნი დაუკრეს, თუმცა შეცდომა მალევე გამოასწორეს და ჩემპიონის პატივსაცემად, დამსწრეთ ახალი ჰიმნიც მოასმენინეს.

სხვა ქართველმა „კლასიკოსებმა“ ტურნირი მედლის გარეშე დაასრულეს.

**გაგრძელება მე-10 გვერდზე**

## ჰოლი ბერისთან ბარაკ ობამას ქალიშვილი მუშაობდა



მსახიობმა, „ოსკარის“ პრემიის ლაურეატმა ჰოლი ბერიმ განაცხადა, რომ აშშ-ის ექსპრეზიდენტ ბარაკ ობამას ქალიშვილი მალია მის თანაშემწედ მუშაობდა.

– ის ფანტასტიკური, შთამბეჭდავი იყო, – განაცხადა მსახიობმა.

მისი თქმით, უმცროსი ობამა მზად იყო, ყველაფერი გაეკეთებინა, რისი გაკეთებაც კი თანაშემწეს მოეთხოვებოდა, რაც მის მიმართ დიდ პატივისცემას იწვევდა.

მალია ობამამ მონაწილეობა მიიღო სერიალ „საზღვრებს მიღმა“ მუშაობაში, რომელშიც ბერი მთავარ როლსაც ასრულებს და მისი ერთ-ერთი პროდიუსერიც არის.

როგორც მსახიობმა აღნიშნა, გადამღები ჯგუფიდან ვერავინ აღიქვამდა ექსპრეზიდენტის ქალიშვილს თანაშემწედ, მიუხედავად იმისა, რომ ის ძალიან ცდილობდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. უმაღლესი კატეგორიის დიპლომატიური წარმომადგენელი; 2. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 3. ხმელთაშუა და წითელი ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი; 4. ციური სხეულების სამოძრაო გზა; 6. წითელი ფერის, მშრალი ქართული სამარკო ღვინო; 9. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 13. ვრცელი, ბალახოვანი, აუთვისებელი სივრცე; 14. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 15. ალუბლის ერთ-ერთი ჯიში, იაპონიის სიმბოლო; 17. დელაკრუას ცნობილი ფერწერული ტილო; 18. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 20. ყაჩაღის ძველი ქართული სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. ერთდროული გასროლა სანადირო თოფის ორივე ლულიდან; 5. თხრობითი ხასიათის პოეტური ქმნილება; 7. მე-17 საუკუნის ქართველი დიპლომატი ქალი; 8. ქართული ავიაკომპანია; 10. ალალბედზე მოქმედება; 11. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 12. რძის პროდუქტი; 16. პოეტ ნიკოლოზ რაზიკაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 17. სქელი ქაღალდი; 19. სათამაშო კოჭის ერთ-ერთი მხარე; 21. ირანის პრეზიდენტი; 22. დაბალი ხარისხის მატყლისგან დამზადებული ნაბადი; 23. იმრე კალმანის ოპერეტა; 24. მტვირთავი მუშა ნავსადგურში.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**